კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხატია დოიჯაშვილი

საერთაშორისო და ეროვნული ტურიზმის რეგულირების თანამედროვე ტენდენციები

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის

მენეჯმენტის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ლალი მიქელაძე

თბილისი 2018

ანოტაცია

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნებ საერთაშორისო და ეროვნული ტურიზმის რეგულირების თანამედროვე ტენდენციებს, პრობლემების გადაწყვეტის გზებს.

სამაგისტო ნაშრომის პირველ **თავში საერთაშორისო და ეროვნული ტურიზმის არსებული რეგულირების აღწერა**-განხილულია-.ტურიზმის დარგის ინსტიტუციური მოწყობა და საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზები, ტურიზმის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა, გარემოს დაცვის პოლიტიკა საქართველოში, ტურისტული ინფრასტრუქტურა, ტურიზმის პროფესიული კადრების მომზადების საკითხები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

სამაგისრტო ნაშრომის მეორე **თავი- ტურიზმის რეგულირების მნიშვნელობა დარგის მდგრადი განვითარებისთვის** ეხება ტურიზმის რეგულირების მნიშვნელოვან ფაქტორებს ,რათა დარგი განვითარდეს კონცეფციის შესაბამისად და მიღწეული იყოს მდგრადობა.ასევე აღწერილია ტურიზმის მდგრადობის მიღწევის საშუალებები.

სამაგისტრო ნაშრომის მესამე თავში-**საქართველოში ტურიზმის რეგულირების არსებული მდგომარეობა,პრობლემები და რეკომენდაციები** გამოვლენილია ტურისტული მომსახურების ბაზრის განვითარების არსებული შემაფერხებელი ფაქტორები და რეკომედირებულია საბაზრო თვითრეგულაციისა და სახელმწიფო რეგულირების (სერთიფიცირება, სტანდარტები, ლიცენზირება) შერწყმის საკითხები.

Annotation

Contemporary trends in international and national tourism

Khatia Doijashvili

This master's thesis is devoted to contemporary trends in international and national tourism regulations, solutions to problems.

The first chapter of the thesis "**Description of the existing regulatory framework in international and national tourism**" examines the institutional structure of the tourism industry and actual flaws in legal database, international cooperation in the tourism industry, Georgia's environmental protection policy, tourism infrastructure, issues related to tourism workforce development programs both on national and international levels.

The second chapter "**The role of tourism regulation for the sustainable development of the sector**" analyses the key factors that influence regulation of tourism and facilitate sustainable development of the sector according to concept. The chapter also describes the ways of achieving tourism sustainability.

The third chapter "**Current status of Georgian tourism regulations: challenges and recommendations**" scrutinized the existing negative factors impeding the development of tourism service in Georgia, while making recommendations on how to merge market self-regulations with state regulations (certification, accreditation and licensing)

შინაარსი

შესავალი..... 4

თავი 1 .საერთაშორისო და ეროვნული არსებული 8

რეგულირების აღწერა

1.1საქართველოს ეროვნული საკანონმდებლო ბაზა..... 8

1.2საერთაშორისო ტურიზმის მარეგულირებელი დოკუმენტები 20

და საერთაშორისო ორგანიზაციები

თავი 2.ტურიზმის რეგულირების მნიშვნელობა დარგის მდგრადი.....39

განვითარებისთვის

2.1ტურიზმის მდგრადობის მიღწევის საშუალებები.....39

2.2მდგრადი განვითარების ინდიკატორები.....45

თავი 3.საქართველოში ტურიზმის რეგულირების არსებული..... 54

მდგომარეობა,პრობლემები და რეკომენდაციები

3.1ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების არსებული მდგომარეობა.....54

და ანალიზი.

3.2ტურიზმის ბიზნეს სექტორში რეგულირების არსებული პრობლემების

პრობლემების წარმოჩენა და მათი შესაძლო გადაჭრის გზები 59

ტურისტულ და ეკონომკლასის სასტუმროთა რეგულაციების კვლევა

ეროვნული სტანდარტის შესახებ.

დასკვნა.....70

დანართები.....71

ბიბლიოგრაფია.....74

შესავალი

ნაშრომის აქტუალობა:ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის, საერთაშორისო კავშირების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას ქვეყანაში, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით. ეს დარგი თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბდა,როგორც ეკონომიკის ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი დარგი, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სიღარიბის დაძლევას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას და შესაბამისად, ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებას. ტურიზმი სწრაფად ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს,ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგები, იძლევა ეკონომიკური შესაძლებლობების ზრდის დაბალანსების საშუალებას.

საქართველოს თვითმყოფადი კულტურა, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები, სასიამოვნო კლიმატი, გეოგრაფიული მდებარეობა, განთქმული სტუმართმოყვარეობა და მასპინძლობა ქმნის იმ ინფრასტრუქტურის შემადგენელ კომპონენტებს, რომელიც ტურიზმის განვითარების საფუძველია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ამ დროისთვის ვერ დაიკავა საპატიო ადგილი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე, ტურისტული ნაკადები ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მსოფლიო ვიზიტორთა (მათ შორის ტურისტების) საერთო რიცხვში საქართველოს სულ მცირე, მაგრამ მზარდი ხვედრითი წილი უკავია, რომელიც 1995 წლიდან დღემდე 0.02-დან 1.12 %-მდე გაიზარდა. მსოფლიო თანდათან ინტერესდება ჩვენი ქვეყნით. ამის დასტურია სასტუმრო ინდუსტრიის ცნობილი ტრანსნაციონალური კორპორაციებიც, რომლებიც საქართველოში ტურიზმის ბიზნესში არიან ჩართული.

გარდა ამისა, თანდათანობით იზრდება ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების რიცხვი,რომელმაც 2016 წელს 6 350 825-ს მიაღწია და წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 7,6%-ით მეტია.

ჩვენს ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების ზოგადი მიმოხილვითაც ნათელია, რომ საქართველო უკვე მოექცა საერთაშორისო ტურიზმის მზარდი ინტერესების სფეროში, მაგრამ ქვეყანამ რომ მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული რეკრეაციული რესურსები და ტურისტული პოტენციალი, საჭირო იქნება ტურიზმის დარგში არსებული პრობლემების კომპ-ლექსური გადაჭრა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტურიზმის სექტორს სხვადასხვა ძლიერი მხა-რეები და უდიდესი პოტენციალი აქვს, მისი განვითარებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რეზერვია. ამ ნეგატიური სიტუაციის გამოსწორებისკენ მიმართულია შემუშავებული მსხვილმასშტაბიანი პროექტები, განსაკუთრებული ტურისტულ-რეკრეაციული ტიპის ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება და ტურიზმის განვითარებისთვის რეგიონული მიზნობრივი პროგრამები. ამასთან ტურიზმის დაჩქარებული განვითრების ამოცანის გადაწყვეტა გართულებულია ტურიზმის დარგში არსებული კანონმდებლობის არასრულყოფილებით.

ბაზრის განვითარება ტურისტულ მომსახურებაში მიმდინარეობს ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში,საბაზრო თვითრეგულაცია და კოორდინაციის მექანიზმი სახელმწიფო რეგულირებასთან შერწყმული. საბაზრო ფაქტორებზე ორიენტაციის დროს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ისე რომ არ დაზარალდეს ბუნებრივი და კულტურული ღირებულებები, შეუძლებელია.ტურიზმის მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს შეუძლია და თამაშობს განმსაზღვრელ როლს ტურისტული საქმიანობის სტიმულირებაში.

ტურიზმის დარგის მნიშვნელოვანი ამოცანაა, განვითარების ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოდელების შემუშავება და დანერგვა, რომლის საფუძველიც უნდა იყოს ეკონომიკური ეფექტიანობა და ტურიზმის

დამახასიათებელი სოციალური ამოცანების რეალიზაცია. ამ პრობლემების გადაწყვეტა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებისა და ტურისტული მომსახურების მიმწოდებელი ცალკეული ორგანიზაციების მიერ.

დახვეწასა და სრულყოფას საჭიროებს ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო მარეგულირებელი მექანიზმები.

მიზნები: ტურისტული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებისა და რეგიონული ტურიზმის სრულყოფის მიმართულებების შემუშავება. მიზნიდან გამომდინარე დასახულია **ამოცანები:**

- მსოფლიო და ეროვნული ტურიზმის განვითარების ტენდენციების დადგენა.
- ტურიზმის, როგორც ეკონომიკის დარგის სახელმწიფო რეგულირების თანამედროვე მიდგომების ანალიზი.
- თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს როლის განზოგადება ტურიზმში და მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენა.
- ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და განზოგადება.
- რეგულირების პრიორიტეტული ობიექტების განსაზღვრის მეთოდიკის შემუშავება, რომელიც აამაღლებს სახელმწიფო ზემოქმედების ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტიანობას.
- ხელისუფლების მიერ ტურიზმის რეგულირების ინოვაციური მიდგომის შემუშავების და გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება.

კვლევის საგანი:სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა საერთაშორისო და ეროვნული ტურიზმის რეგულირების სფეროში.

კვლევის ობიექტი:ტურისტული საქმიანობის მარეგულირებელი მექანიზმები.

კვლევის მეთოდები:სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევები. ტურიზმის განვითარების თეორიისა და პრაქტიკის სფეროში განხორციე-ლებული სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. ნაშრომში ფართოდ არის გამოყენებული ადგილობრივი და

საერთაშორისო ორგანიზაციების ემპირიული და სტატისტიკური მონაცემები, გამოკვლევები, მეთოდოლოგიური და მეთოდური ხასიათის მონოგრაფიები, სტატიები.

სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისგან განსხვავდება იმით,რომ ის წარმოადგენს სრულყოფილ შესწავლის მასალას,როგორც საერთაშორისო ასევე ეროვნულ დონეზე.

თავი1.საერთაშორისო და ეროვნული ტურიზმის არსებული რეგულირების აღწერა

1.1 საქართველოს ეროვნული საკანონმდებლო ბაზა

სახელმწიფოს როლის გათვალისწინებით,საქართველოს ტურიზმის დარგის განვითარების პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსურად დახასიათების მიზნით,საჭიროა განვიხილოთ: 1.ტურიზმის დარგის ინსტიტუციური მოწყობა და საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზები, 2.ტურიზმის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა, 3.გარემოს დაცვის პოლიტიკა საქართველოში, 4. ტურისტული ინფრასტრუქტურა, 5. ტურიზმის პროფესიული კადრების მომზადების საკითხები.*[დ.ქათამაძე გ.ქათამაძე 2013ნ]*

საქართველოს ტურიზმის დარგის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოა ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული სააგენტო.ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ძირითადი ფუნქციებია:მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრურუნველყოფა,მეწარმეებისათვის ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს შექმნა,ტურისტული,სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ხელშეწყობა.

2010 წლის 10 აგვისტოდან,საქართველოს მთავრობის დადგენილებით, განხო_ რციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების-ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და, როგორც მისი უფლებამონაცვლე,შეიქმნა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო.ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის გაუქმებისა და ტურიზმის ეროვნული სააგენტოს შექმნის მიზნის წარმოადგენდა ორგანიზაციის დაფინანსების უფრო მოქნილ სისტემაზე გადასვლას, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, ფინანსდებოდა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან,ხოლო ტურიზმის ეროვნული სააგენტო დაფინანსდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე სახელმწიფო შეკვეთის საფუძველზე, ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულებისთ მიღებული შემოსავალი,საწევროებითა და შენატანებით,ასევე საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლით.*[დ.ქათამაძე გ.ქათამაძე 2013წ]*

საქართველოს ტურიზმის სექტორის ძირითადი **სამართლებრივი ბაზა** შედგება კანონებისგან:,,საქართველოს კანონი ,,ტურიზმისა და კურორტების შესახებ“(1997წ) და საქართველოს კანონი კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“(1997წ).არნიშნული კანონები მოძველებულია და არ ითვალისწინებს ტურიზმის განვითარების,დღეს არსებულ და აქტუალურ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებსა და პრობლემებს,ამიტომ რთული იქნება მათში ცვლილებების შეტანა.ზოგადად,კანონები ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს,ამიტომ ისინი საჭიროებენ გაერთიანებას და მთლიანად განახლებას. *[საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997 წ]*

ქვეყნის დონეზე,ტურიზმის დარგის სამართლებრივი რეგულირების ძირითადი მიმართულებებია:[7,11,14]

- სამართლებრივი ნორმების განვითარება და რეალიზაცია,რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების და უფლებების დაცვას,ტურისტული პროდუქტის ხარისხსა და მოგზაურობის უსაფრთხოებაზე გარანტიების გაზრდა;

- ტურისტული საქმიანობის განხორციელებული პირების(ფიზიკური და იურიდიული) მიერ სამოქალაქო-საკანონმდებლო ვალდებულებებზე ეკონომიკური(ფინანსური) პასუხისმგებლობის ამაღლება-გამჭირვალობის ,სტაბილურობისა და ტურისტული ბიზნესის ინვესტიციებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა;
- ტურისტული ინდუსტრიის სხვადასხვა სეგმენტისათვის (განთავსების,სატრანსპორტო,გართობის საშუალებები) საკანონმდებლო

აქტების შემუშავება და განხორციელება,რომლების დაარეგულირებენ კლასიფიკაციისა და სტანდარტიზაციის საკითხებს;

- ტურიზმის უსაფრთხოების საკანონმდებლო რეგულირების კანონებისა და კანონქვემდებარე ,ნორმატიული აქტების შემუშავება;
- ტურიზმის კომპლექსური საკანონმდებლო რეგულირება(მომიჯნავე დარგების კანონმდებლობებში ,,ტურიზმის ნორმების" რეგულირება)
- ტურიზმის სფეროს რეგიონული საკანონმდებლო რეგულირების ნორმების შემუშავება და მათი უნიფიცირება;
- ქვეყნის ტურიზმის კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საერთაშორისო და ევროპის საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზება.

საქართველოს კანონმდებლობა სხვადასხვა ნორმატიული აქტით არეგულირებს ტურიზმს და ტურიზმისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ცალკეული აქტი არ არის პირდაპირ ამ სფეროს მარეგულირებელი, თუმცა არსებით გავლენას ახდენს მასზე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სახით. ამ დოკუმენტის მიზანია, მოკლედ გაანალიზოს ეს გავლენა და წარმოაჩინოს, რა მიმართულებებით შეიძლება კანონმდებლობის დახვეწა ტურიზმის უკეთ განვითარებისა და წახალისებისათვის.*[საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997ნ]*

ტურიზმისა და კურორტების მარეგულირებელი კანონმდებლობა.საქართველოს **კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ"** წარმოადგენს დარგის

რეგულირების ყველაზე სპეციალურ მექანიზმს. სწორედ აქაა გაწერილი სფეროში გამოყენებული ყველაზე მნიშვნელოვანი ტერმინები, როგორიცაა ტურიზმი, ტურისტი,ტურისტული საქმიანობა, კურორტი, ტური და სხვა.*[საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997 წ;ტურიზმის ინსტიტუტი 2017წ]*

თუმცა კანონის ერთიანად გაცნობა ცხადჰყოფს, რომ იგი საკმაოდ მოძველებულია. მართალია, მასში ცვლილებები წლების მანძილზე შედიოდა, თუმცა უკანასკნელი 15 წლის მანძილზე განხორციელებული ორი ცვლილება გამოწვეული იყო თვითმმართველობის კანონმდებლობის ცვლილებით (შეიცვალა ტერმინი „თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო") და საკონსტიტუციო რეფორმით (ჩამოყალიბდა მთავრობის უფლებამოსილებები). შესაბამისად, ცხადია, რომ აღნიშნული კანონის რიგი დებულებები ვერ პასუხობს მიმდინარე გამოწვევებს. მაგალითად, სამთავრობო პროგრამა „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა" ითვალისწინებს დაცული ტერიტორიების გაფართოებას, ტურიზმის სხვადასხვა ტიპის განვითარებას, განსაკუთრებით კი საქმიანი ტურიზმის განვითარეის მიზნით ცალკეული ქმედებების წარმოებას და კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობას. თუმცა არსებული კანონმდებლობა განმარტების დონეზეც კი არ შეესაბამება ამ გეგმებს და შესაძლოა, ხელის შემშლელი გარემოებაც კი გახდეს საჭირო დებულებების არარსებობის გამო.

მაგალითად, კანონი განსაზღვრავს დარგის მართვის უფლებამოსილი ორგანოს პასუხისმგებლობებს და უფლებამოსილებებს, თუმცა რეალურად ასეთი ორგანო არ არსებობს, ისევე, როგორც არ არსებობს მისი რეგიონული სამმართველოები. კანონი ამ ორგანოს განსაზღვრას აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონს ავალებდა, იმ დროს მოქმედი შესაბამისი კანონი კი ასეთ სახელმწიფო დეპარტამენტს იცნობდა. დღეს მოქმედი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონით კი ასეთი დეპარტამენტი მმართველობის სფეროში გადაეცა საქართველოს

ეკონომიკის სამინისტროს.ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მმართველობაში მართლაც შედის სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია", თუმცა მისი დებულების თანახმად, იგი დარგის მართვის ორგანოსთვის გათვალისწინებულ მხოლოდ რამდენიმე ფუნქციას ახორციელებს.*[ტურიზმის ინსტიტუტი 2017ნ]*

კანონი ასევე იცნობს ტერმინს „შესაბამისობის სერტიფიკატი", რომელიც არის „დოკუმენტი, რომელიც ასაბუთებს ტურისტული და საკურორტო მომსახურების ხარისხს და მის შესაბამისობას კონკრეტულ სტანდარტთან ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტთან". თუმცა არც ერთი სხვა საკანონმდებლო აქტი არ არეგულირებს ამ დოკუმენტის გაცემის წესს ან სხვა პროცედურებს.ცხადი ხდება, რომ უკანასკნელი წლების განვითარებიდან გამომდინარე, სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა განახლებას საჭიროებს. მასში არაა მოცემული რიგი მნიშვნელოვანი ტერმინები, რომელიც სფეროში გამოიყენება (მაგალითად: ვიზიტორი, ტრანზიტორი), მოძველებული და უმოქმედო რეგულირებები ან უნდა გადაიხედოს ან უნდა წაიშალოს (მაგალითად, განისაზღვროს, შესაბამისობის სერტიფიკატის საკითხი). ტურიზმის დარგის მნიშვნელობა, რომელიც ამ კანონით, ისევე, როგორც საქართველოს მთავრობის პროგრამით ხაზგასმულია, დღის წესრიგში აყენებს დარგის ეფექტურ რეგულირებას. რა არჩევანიც არ უნდა გაკეთდეს - სრული თვითრეგულირების, სახელმწიფოს მიერ ცალკეული საკითხების აქტიური რეგულირების ან საბაზრო თავისუფლების და მასში შეზღუდული ჩარევის მიმართულებით, შესაბამისი კანონმდებლობა მოქმედი და ცოცხალი უნდა იყოს.*[ტურიზმის ინსტიტუტი 2017ნ]*

მაგალითისათვის, კანონის მე-6 მუხლი ადგენს ტურისტული და საკურორტო საწარმოებისთვის მომსახურების ლიცენზიის აღების საკითხს, თუმცა ასეთი ლიცენზიის არსებობა არც ერთი საკანონმდებლო აქტით არ არის განსაზღვრული. რაც შეეხება მე-7 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტიზაციას, სერტიფიკაციას და ლიცენზირებას, მხოლოდ რამდენიმე სტანდარტი არსებობს, რომლებიც საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტოს

ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების ტექნიკურმა კომიტეტმა შეიმუშავა. აღნიშნული ცხადჰყოფს, რომ კანონის ეს დებულებები რეალურ სამართლებრივ შედეგს არ აყენებს.*[ტურიზმის ინსტიტუტი 2017ბ]*

ტურიზმის სფეროში მოქმედ სპეციალურ კანონს ასევე წარმოადგენს საქართველოს **კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგლების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“**,რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნებას და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვას. ამისათვის კანონი განსაზღვრავს, რა განეკუთვნება ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს, ადგენს სამ ზონას (მკაცრი, შეზღუდული რეჟიმის და სამეთვალყურეოს) და მათ რეგულირებას ახდენს. აღნიშნული ზონების პროექტის შედგენა ევალება სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას“, თუმცა მათ ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. მთავრობის დადგენილებით არის შედგენილი საქართველოს კურორტების ნუსხა და სტატუსი.*[დადგენილება N428 2014;matsne.gov.ge]*

ხარისხისა და უსაფრთხოების მარეგულირებელი კანონმდებლობა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ტურიზმის სფეროში ხარისხის რეგულირებას ფაქტობრივად არ ახდენს. ამ მხრივ შეიძლება გამოიყოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ადგენს წესებს, ერთის მხრივ, ზოგადად კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებისთვის და, მეორეს მხრივ, ტურისტულ მომსახურებასთან მიმართებით.*[matsne.gov.ge;ტურიზმის ინსტიტუტი 2017ბ]*

სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ ვალდებულებები უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.აღნიშნული ზოგადი წესიდანაც გამომდინარეობს ხარისხიანი შესრულება, ამასთან, კოდექსი ვადის დარღვევის, ზიანის ანაზღაურების და სხვა შემთხვევებსაც ითვალისწინებს ზოგადი სახით. გარდა ამ ზოგადი დათქმებისა, კოდექსის ერთ-ერთი თავი მთლიანად ეთმობა ტურისტულ მომსახურებას, რომელიც განმარტავს ტურიზმის ხელშეკრულების არსს და იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რაც ამ ურთიერთობაში უნდა იყოს, კერძოდ ტურისტისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულობას;

ყალბი, არასათანადო და შეცდომაში შემყვანი ინფორმაციისგან დაცვას, ღირებულების გადახედვის წესს და სხვა პირობებს.თუმცა სამოქალაქო კოდექსის მიერ ტურისტული მომსახურების რეგულირება ეხება უშუალოდ მოგზაურობის მოწყობას და არ ითვალისწინებს ინდუსტრიის თითოეული სექტორის ფარგლებში ხარისხის ან სხვა პირობების მოწესრიგებას. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება ზოგადი პრინციპია ნებისმიერი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის.ქართულ კანონმდებლობაში ხარისხის რეგულირებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები გვხვდება საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“, ეს კანონი არ არეგულირებს მომსახურების საკითხებს და ძირითადად ბაზარზე განთავსებული პროდუქტის ხარისხს შეეხება. ტურიზმისათვის ეს საკითხიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, მაგალითად, ტურისტების ტრანსპორტირების ან კვებითი მომსახურების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ კანონი ეფუძნება შემდეგ ზოგად პრინციპს: სახელმწიფოს მიერ დაწესებული უსაფრთხოების სავალდებულო მოთხოვნების მხოლოდ რეგულირებულ სფეროზე გავრცელება. სხვა სფეროში მეწარმეს თავად აქვს უფლება, აირჩიოს და დააკმაყოფილოს უსაფრთხოების მოთხოვნები. რეგულირებულ სფეროს კი ტურიზმი ზოგადად არ წარმოადგენს.*[ტურიზმის ინსტიტუტი 2017ბ]*

ხარისხზე საუბრისას მნიშვნელოვანია საქართველოს **კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.** ეს კანონი არეგულირებს ისეთ საქმიანობას ან ქმედებას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით არ არის გათვალისწინებული ტურიზმისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი დარგის ლიცენზირება ან ნებართვის მოთხოვნა, გარდა ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისათვის სასარგებლო წიაღისეულის – სამკურნალო ტალახის ან/და გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლების

მოპოვების შემთხვევა. შესაბამისად, ცხადი ხდება, რომ ტურისტული მომსახურებები - განთავსება, ტრანსპორტირება და სხვა არ ექვემდებარება ლიცენზირებას ან ნებართვას და თავისუფალია.*[ტურიზმის ინსტიტუტი2017ნ;matsne.gov.ge]*

ხარისხსა და უსაფრთთხოებაზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობა აგრეთვე იცნობს სტანდარტებს, აკრედიტაციას და შესაბამისობის შეფასებას.

- ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს/ადგენს პროდუქტის, ასევე, წარმოების პროცესის უსაფრთხოების ძირითად პარამეტრებს. ტექნიკური რეგლამენტი (იმ სფეროში, სადაც არსებობს) სავალდებულოა შესასრულებლად;
- სტანდარტი გამოიყენება ტექნიკურ რეგლამენტში განსაზღვრული უსაფრთხოების მოთხოვნების ან/და მიზნების შესრულებისათვის. სტანდარტი შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ პროცედურას, დეტალს ან სხვა კომპონენტს. სტანდარტის გამოყენება არ არის სავალდებულო ხასიათის, რაც საშუალებას აძლევს მეწარმეს ან სხვა პირს, საკუთარი შეხედულების შესაბამისად, შეარჩიოს და გამოიყენოს სტანდარტი.
- შესაბამისობის შეფასება შესაბამისობის შეფასების მიზანს წარმოადგენს პროდუქტის სტანდარტებთან ან ტექნიკურ რეგლამენტებთან შესაბამისობის დადგენა. შესაბამისობის შეფასებას ახორციელებს აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი პირი (კერძო კომპანიები);
- აკრედიტაცია წარმოადგენს შესაბამისობის შემფასებელი პირის კომპეტენციის დადასტურებას იმ სფეროში, რომელ სფეროშიც ეს პირი ახორციელებს შესაბამისობი შეფასებას*[www.economy.ge;ტურიზმის ინსტიტუტი 2017ნ]*

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის სხვადასხვა სექტორის საქმიანობა არ ექვემდებარება სპეციალურ წინასწარ ლიცენზირებას ან ნებართვას, ეს არ ნიშნავს მათ სრულ დერეგულირებას. ცალკეული სფეროებისათვის ამა თუ იმ სავალდებულო საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა, რაც,

შესაძლოა, ხარსხიან მომსახურებას არ უზრუნველყოფს, თუმცა უსაფრთხოების დაცვის მხრივ მნიშვნელოვანია.კერძოდ, კვების ობიექტები სურსათის უვნებლობის კანონმდებლობის რეგულირების ქვეშ ექცევიან, განთავსების ობიექტები სახანძრო და სამშენებლო ნორმების ქვეშ (თუმცა, გარკვეული შეზღუდვით), ორივე მათგანი სანიტარულ ზედამხედველობას შეიძლება დაექვემდებაროს. ცალკეული რეგულაციების ამ სფეროებზე გავრცელება დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, მაგალითად, შესაბამისი ობიექტების მოცულობაზე. სავალდებულოდ შესრულებას ექვემდებარება სურსათის უვნებლობის კანონმდებლობა, რომელიც უპირველესად მოითხოვს ბიზნესოპერატორის რეგისტრაციას სურსათის მწარმოებელ/გადამამუშავებელ ბიზნესოპერატორად. კანონი აგრეთვე აწესებს სავალდებულო მოთხოვნებს ასეთი სუბიექტებისათვის და ითვალისწინებს ინსპექტირების პროცედურას, თუმცა არა საქმიანობის დაწყებამდე. 2015 წლის 1 იანვრიდან ინსპექტირების დროს მიკვლევადობის და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის სურსათის უვნებლობის კოდექსის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ინსპექტირების განმახორციელებელი დაჯარიმდება, ხოო არაკრიტიკული შეუსაბამობების გამოვლენისას - რეკომენდაციები ეძლევა. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ინსპექტირებას გეგმიურად ან არაგეგმიურად, დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში ატარებს. აღნიშნული რეგულირება უზრუნველყოფს კვების ობიექტების მხრიდან უსაფრთხოების გარკვეული სტანდარტების დაცვას, თუმცა არ გულისხმობს მომსახურების ხარისხის მართვას.*[ტურიზმის ინსტიტუტი 2017ნ]*

ბიზნესოპერატორად რეგისტრაციასთან და აღიარებასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ამ ორი ქმედების საფუძვლები და შედეგები. როგორც ზემთ აღინიშნა, ყველა ბიზნესოპერატორი, რომელიც საქმიანობს სურსათის წარმოებაში/გადამუშავებაში, ვალდებულია ასეთად დარეგისტრირდეს (საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში). თუმცა ყველა ბიზნესოპერატორის აღიარება სავალდებულო არ არის (მაგრამ ნებაყოფლობითია მათთვისაც, ვისთვისაც არაა

სავალდებულო) და კანონით დადგენილია გამონაკლისები (ოჯახური წარმოება, პირველადი წარმოება, ტრადიციული მეთოდებით ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოება ან/და გადამუშავება და ა.შ.). აღიარებას ახორციელებს სურსათის უვნებლობის სააგენტო და ოპერატორი, რომელიც არ გაივლის აღიარების პროცედურას, ვერ განახორციელებს საქმიანობას. ტურისტული კვების ობიექტები, როგორც წესი, აღიარების პროცედურას არ ექვემდებარებიან და მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციისას უნდა განაცხადონ, რომ კვების პროდუქტებთან დაკავშირებული საქმიანობა ექნებათ.

მინიმალური სანიტარული წესების დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტები),რომელთა შეუსრულებლობა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დაჯარიმებას იწვევს.

სახანძრო უსაფრთხოების ნორმები ერთის მხრივ, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით და, მეორეს მხრივ, ტექნიკური რეგლამენტით არის განსაზღვრული, რაც მის სავალდებულობაზე მიუთითებს.აღნიშნული რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს მოიცავს, თუმცა ისინი ტურისტული ობიექტებისთვისაც, განსაკუთრებით კი განთავსების ობიექტებისთვისაც მნიშვნელოვანია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგლამენტი 2015 წელსაა შემუშავებული და არ ვრცელდება მის ძალაში შესვლამდე დაპროექტებულ და აშენებულ შენობა-ნაგებობებზე, თუ მათი შესრულება იწვევს მშენებლობის, რეკონსტრუქციის და დემონტაჟის ჩატარების აუცილებლობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული შენობა-ნაგებობების არსებულ პირობებში შემდგომი ექსპლუატაცია აშკარა და პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან საკუთრებას.

ამ ქვეთავში მოცემული ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ადგენს იმ მინიმალურ მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის. თუმცა, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები, ისევე, როგორც საერთაშორისო თუ საქართველოში მოქმედი ხარისხის ნიშნები ნებაყოფლობითია და ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართულ ნებისმიერ პირს შეუძლია მათი შესრულება, რითაც გაზრდიან მომსახურების ხარისხს, შესაბამისად კი, კონკურენციას და მიმზიდველობას.*[ტურიზმის ინსტიტუტი 2017ბ]*

საგადასახადო რეგულირება.საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს საქართველოში მოქმედ გადასახადებს - საშემოსავლო, მოგების, იმპორტის, დამატებითი ღირებულების გადასახადები, აქციზი და ქონების გადასახადი (ეს უკანასკნელი ადგილობრივი გადასახადია). კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს თითოეული გადასახადის დადგენის, დაანგარიშების, გადახდის წესს და საგადასახადო შეღავათებს. კოდექსითვეა რეგულირებული და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტები არეგულირებს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსებს, რომლებიც ადგენს საშეღავათო საგადასახადო რეჟიმებს, მათ შორის, ტურიზმის სფეროში მომუშავე პირთათვის.*[www.matsne.gov.ge;ტურიზმის ინსტიტუტი 2017ბ]*

საქართველოში არ არის დადგენილი სპეციალური გადასახადები, რომლებიც უშუალოდ ტურიზმის ინდუსტრიაში მოქმედებს (ტურიზმის გადასახადი ან საქალაქო გადასახადი ტურისტებისათვის). თუმცა საგადასახადო კოდექსი არეგულირებს გარკვეულ შეღავათებს ტურისტული ობიექტებისათვის. კერძოდ, საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს ტურისტული საწარმოს სტატუსს, რომლის საფუძველზეც ცალკეული დასაბეგრი ოპერაციები სპეციალური რეჟიმით ხორციელდება, ასევე, ცალკეული ოპერაციები შეღავათიანი წესით იბეგრება.აღნიშნული სტატუსი განსაზღვრავს „სასტმუროს“ განმარტებას ამავე სტატუსის მიზნებისათვის, რომელშიც ერთიანდება, მათ შორის, სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი სახლები (ე.წ. „აპარტოტელები“). საგადასახადო კოდექსი ასევე

შეღავათიან საგადასახადო პირობებს ადგენს ტურისტული ზონის მეწარმე სუბიექტებისათვის, ასეთი ზონები კანონის „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საფუძველზე განსაზღვრულია ქობულეთში, განმუხურში და ანაკლიაში. ასეთ ზონებში მოქმედი ინვესტორები გამარტივებული წესით იღებენ ქონებას ამ ზონებში და თავისუფლდებიან ქონებისა და მოგების გადასახადისაგან კანონით დადგენილი ვადით, ისევე, როგორც, მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდისაგან გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსი დღგ-ს გადახდისაგან ათავისუფლებს ტუროპერატორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტულ ობიექტებში უცხოელი ტურისტების ორგანიზებული შემოყვანას და მათთვის საქართველოს ტერიტორიაზე ტურისტული მომსახურების პაკეტის მიწოდებას.

სტატისტიკის წარმოება.ტურიზმის დარგში პოლიტიკის და სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკის წარმოებას. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ეფექტური გზების არსებობა. საქართველოში ტურიზმის სტატისტიკას აწარმოებს საქსტატი და აჭარაში, აგრეთვე, აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.

საქართველოს კანონის „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური მონაცემი და სხვა ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი, „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული პირები ვალდებული არიან, საქსტატის წერილობითი, მათ შორის, ელექტრონული სახით, მოთხოვნის შემთხვევაში

მატერიალური ან ელექტრონული სახით წარუდგინონ მას მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური.ამავე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, ზემოთდასახელებულ პირებს ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში დაეკისრებათ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ინფორმაციის წარსადგენად შესაბამის პირებს ეძლევათ მინიმუმ 7 კალენდარული დღე. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს პირს ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების შესრულებისგან.მიუხედავად კანონით გათვალისწინებული პროცედურებისა, საქსტატის მიერ ტურიზმის სტატისტიკის წარმოებისას არ ხდება კანონით დადგენილი ბერკეტების გამოყენება, როდესაც შესაბამისი ტურისტული ობიექტები არ აწვდიან მას მოთხოვნილ ინფორმაციას, ხოლო სტატისტიკის მწარმოებელ სხვა უწყებებს კი ზემოთ აღწერილი უფლებამოსილება არ აქვთ მინიჭებული.*[www.matsne.gov.ge;ტურიზმის ინსტიტუტი 2017წ;საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997წ]*

1.2საერთაშორისო ტურიზმის მარეგულირებელი ორგანიზაციები და დოკუმენტები

საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ტურიზმის მარეგულირებელი ერთიანი დოკუმენტი,თუმცა საერთაშორისო ტურისტული ნაკადების რეგულირებისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის მიზნით ჩამოყალიბდა მსოფლიო მასშტაბის მრავალი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ეკონომიკური, მთავრობათაშორისი და არასამთავრობო ორგანიზაცია.საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის ფლობა აუცილებელია რამდენიმე მიზეზის გამო: 1. ისინი მოწოდებულნი არიან იზრუნონ ერებს შორის მშვიდობისა და სტაბილურ ურთიერთობათა უზრუნველყოფაზე, რაც მთავარი პირობაა საერთაშორისო ტურიზმის განვითარებისთვის; 2. ისინი ფლობენ ღირებულ ინფორმაციას

ტურისტული ბაზრის პირობების, დემოგრაფიის, რესურსების, ქვეყნებს შორის ტურისტების მოგზაურობის დინამიკის შესახებ; 3. მათ შეიძლება შეასრულონ მარეგულირებელი ფუნქციები.*[თ. ბერიძე 2016ნ]*

საერთაშორისო ორგანიზაციებია: გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია, მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო, Skal International-ი, საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია, ტურიზმის მეშვეობით მშვიდობის დამყარების საერთაშორისო ინსტიტუტები და ა.შ.

გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (United Nations World Tourism Organization- UNWTO) არის გაეროს ოფიციალური სპეცილიზირებული სააგენტო, რომლის მიზანია ტურიზმის მხარდაჭერა და განვითარება მთელ მსოფლიოში.

დღეისათვის გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია არის ყველაზე ცნობილი და ლიდერი ორგანიზაცია მოგზაურობისა და ტურიზმის სფეროში. ის ასრულებს გლობალური ფორუმის როლს ტურიზმის პოლიტიკის საკითხებში, უზრუნველყოფს ფართო საერთაშორისო ტურისტული სექტორის ხელმძღვანელობას და არის ტურიზმის გამოცდილების პრაქტიკული წყარო მისი წევრებისათვის. მასში გაწევრიანებულია 154 ქვეყანა, 400-ზე მეტი ფილიალური წევრი, რომლებიც წარმოადგენენ ადგილობრივ მთავრობებს, ტუ-
რიზმის ასოციაციებს, საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და კერძო სექტორის კომპანიებს(ავიახაზები, სასტუმროთა ჯგუფები, ტუროპერატორები). გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია არის გაეროს (United Nations - UN) სპეციალიზებული სააგენტო, რომლის მთავარი შტაბი მდებარეობს მადრიდში.გაეროს სპეციალიზებული სააგენტოს სტატუსიდან გამომდინარე, გაეროს ტურისტული ორგანიზაცია მონაწილეობას იღებს კოორდინირების აღმასრულებელი საბჭოს (CEB - Chief Executive Board Of Coordination) სისტემაში, როგორც სრულყოფილი წევრი. CEB შეიმუშავებს საერთო სისტემურ სტრატეგიებს შიდა-სამთავრობო დირექტივების საპასუხოდ ეკონომიკურ თანამშრომლობასა და განვითარებაზე. გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაწილეობა

შესაძლებელს ხდის ტურიზმის როლის წინა პლანზე წამოწევას სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევის საკითხებში.

სპეციალიზებული სააგენტოები ფუნქციონირებენ ავტონომიურ საფუძველზე, თავიანთი შეკვეთებით, ბიუჯეტით, ხელმძღვანელობით, თანამშრომლებითა და საგამომცემლო ოპერაციებით. ისინი აბარებენ წლიურ და ორი წლის ანგარიშს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს. გენერალურ ასამბლეას შეუძლია შეამოწმოს მათი ბიუჯეტი და გაუწიოს რეკომენდაციები. თუმცა ყველა სპეციალიზებული სააგენტო დასკვნით კონტროლს თავად უწევს საკუთარ საქმიანობას.*[თ. ბერიძე 2016ბ]*

ამგვარად, გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია გაეროსაგან სრულიად დამოუკიდებლად ასრულებს თავის ცენტრალურ და გადამწყვეტ საპასუხიმგებლო როლს სიცოცხლისუნარიანი და საყოველთაოდ მისაღები ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის საქმეში, მისი მიზანია ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანა, მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის ზრუნვა, საერთაშორისო პატივისცემა, ადამიანის უფლებების დაცვა
და ფუნდამენტური თავისუფლებების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევად, გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს ტურიზმის სფეროში.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია ეწევა მრავალმხრივ მოღვაწეობას. ტურისტული ნოუ-ჰაუს გადაცემა განვითარებად ქვეყნებზე - მისი მთავარი მიზანია. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია ათწლეულების შედეგად მიღებულ გამოცდილებას მსოფლიოს ქვეყნების მდგრადი განვითარების მიზნებისათვის იყენებს. გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის პროექტები ემყარება მდგრადი განვითარების პოლიტიკას, ამავდროულად, ითვალისწინებს იმასაც, რომ ტურიზმის განვითარების ეკონომიკურმა სარგებელმა არ შეუქმნას საფრთხე გარემოს ან ადგილობრივ კულტურას.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (UNWTO) ცნობილია თავისი სტატისტიკური ანალიზითა და მარკეტინგული კვლევებით. მარკეტინგული კვლევები არის მისი განსაკუთრებული წვლილი ტურიზმის განვითარებაში. ამ სფეროში მუშაობის შედეგად, ორგანიზაციამ დააწესა ტურიზმის აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები,დაადგინა ტურიზმის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, წარმოადგინა პროგნოზები და გამოაქვეყნა შედეგები.*[www.nplg.gov.ge]*

მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო (World Travel and Tourism Council -WTTC) - მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობის ბიზნესის ლიდერთა ფორუმია. ის აერთიანებს მსოფლიოს 100 მოწინავე კომპანიის პრეზიდენტებს, თავმჯდომარეებსა და აღმასრულებელ დირექტორებს. ეს კომპანიები ეწევიან განთავსების, კვების, საკრუიზო, გასართობ, ტრანსპორტირებისა და მოგზაურობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მომსახურებას.მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭო (WTTC) არის ერთადერთი ორგანო, რომელიც წარმოადგენს კერძო სექტორს მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის ყველა სეგმენტში.*(თ. ბერიძე 2016ბ)*

ის დაარსდა 1990 წელს და იმართება 19 წევრისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, რომელიც იკრიბება წელიწადში ორჯერ და ანგარიშვალდებულია თითოეული წევრის ყოველწლიურ შეხვედრაზე. ყოველდღიურ საქმიანობებს ახორციელებს პრეზიდენტი და მისი მცირერიცხოვანი პერსონალი ლონდონიდან. საბჭოს მიზანია აამაღლოს მოგზაურობისა და ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური წვლილის გაცნობიერებულობა, იმუშაოს მთავრობებთან იმ პოლიტიკაზე, რომელიც გზას გაუხსნის ინდუსტრიის პოტენციალს სამუშაო ადგილების შესაქმნელად და სიმდიდრის დასაგროვებლად. მათი ხედვის თანახმად, საჭიროა პარტნიორობა დაინტერესებულ პირთა შორის, რათა ბიზნესის თანმდევი შედეგები შეესაბამებოდეს ეროვნული ეკონომიკის, ხელისუფლების ადგილობრივი და რე-

გიონული, ასევე, ადგილობრივი თემების საჭიროებებს შემდეგი პირობებით: ხელისუფლებამ უპირველეს პრიორიტეტად უნდა აღიაროს მოგზაურობა და ტურიზმი ; ბიზნესის

ეკონომიკური დაბალანსება ხალხთან, კულტურასთან და გარემოსთან ; ერთობლივი სვლა ხანგრძლივი ზრდისა და აყვავებისაკენ.*[თ. ბერიძე 2016წ]*

Skal International-ეს არის მსოფლიოს მასშტაბით ტურიზმის ლიდერების პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება მსოფლიო ტურიზმს და მსოფლიოს ქვეყნებსშორის მეგობრობას. იგი დაარსდა 1934 წელს საერთაშორისო ასოციაციის სტატუსით,ჰყავს დაახლოებით 20 000 წევრი 480 ადგილზე, მსოფლიოს 89 ქვეყანაში. ის არის გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ფილიალური წევრი და მხარს უჭერს პასუხისმგებლიანი, მდგრადი და უნივერსალურად ხელმისაწვდომი ტურიზმის განვითარებას. Skal International-მა მიიღო ტურიზმის ეთიკის გლობალური კოდექსი. Skal International არის ტურიზმის ინდუსტრიის მძლავრი ძალა, რომელიც გამოიწვევს ცვლილებებს და ხელს შეუწყობს გარემოს კონსერვაციას ტურიზმის განვითარებისათვის.*[თ. ბერიძე 2016წ]*

საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (International Air Transport Association-IATA) აერთიანებს უკლებლივ ყველა საერთაშორისო საჰაერო გადამზიდს დაახლოებით, 230 ავიაკომპანიას, რომლებიც შეადგენენ რეგულარული საერთაშორისო საჰაერო მოძრაობის 93%-ს. IATA-ს უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს მსოფლიოს რომელიმე წერტილიდან სხვა ნებისმიერ წერტილში ნებისმიერი მარშრუტით მგზავრებისა და ტვირთის უსაფრთხო გადაყვანა/გადატანას.*[თ. ბერიძე 2016წ]*

საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია (International Civil Aviation Organization-ICAO) - გაეროს სპეციალიზებული სააგენტო - არის სამოქალაქო ავიაციის გლობალური ფორუმი. ორგანიზაცია დაარსდა 1944 წელს. ICAO მუშაობს უსაფრთხოების, საიმედო და მდგრადად განვითარებადი ხედვის მისაღწევად თავის წევრებთან თანამშრომლობით.*[თ. ბერიძე 2016წ]*

ტურიზმის მეშვეობით მშვიდობის დამყარების საერთაშორისო ინსტიტუტი (International Institute for Peace Through Tourism - IIPT) არის არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმის იმ ინიციატივებს, რომლებსაც წვლილი შეაქვს საერთაშორისო ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობაში, გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაში, მემკვიდრეობის დაცვასა და შენახვაში და ამ ინიციატივების მეშვეობით ხელს უწყობს მშვიდობიანი და მდგრადი მსოფლიოს ჩამოყალიბებას.

ტურისტული საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა ხორციელდება საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, რომელიც გამოიხატება ეროვნული კანონმდებლობის ფორმირებაში, საერთაშორისო შეთანხმებებსა და ტურიტული ორგანიზაციების შექმნაში.

საერთაშორისო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ქვეყნებს შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრას მნიშვნელოვნად განაპირობებს საერთაშორისო ტურიზმის მარეგულირებელი მსოფლიო საკანონმდებლო ბაზის უნიფიკაცია და ჰარმონიზაცია. ტურისტებსა და ტურ-აგენტებს შორის ხელშეკრულების გაფორმების დროს ხელმძღვანელობენ სამართლის შემდეგი ნორმებით: კანონით ტურისტული საქმიანობის საფუძვლების შესახებ", სამოქალაქო კოდექსით", კანონით მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ", საჰაერო კოდექსით" და ა. *შ.[თ. ბერიძე 2016ნ]*

ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი-დამტკიცებულია A/RES/406(XIII) რეზოლუციით,მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის World Tourism Organisation WTO გენერალური ასამბლეის მე-13 სესიაზე (ქ.სანტიაგო,ჩილე,1999 წლის 1 ოქტომბერი).*[მ. მეტრეველი 2011ნ]*

,,ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსის" **პრინციპები:**

მუხლი 1-ტურიზმის წილი საზოგადოებებსა და ერთა შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის საკითხებში.

1. ზოგადსაკაცობრიო ეთიკური ღირებულებების გაგება და განვითარება, რელიგიური, ფილოსოფიური და ზნეობრივი მრწამსის მრავალფეროვნებისადმი

ტოლერანტულობითა და პატივისცემით მიდგომა ერთდროულად წარმოადგენს საპასუხისმგებლო ტურიზმის საფუძველსაც და შედეგსაც. ტურიზმის პროცესის მონაწილეები და თავად ტურისტები ყურადღებით უნდა მოეკიდონ სხვადასხვა ქვეყნების კულტურულ ტრადიციებსა და ადათებს, ეროვნული უმცირესობისა და აბორიგენული მოსახლეობის ჩათვლით, და აღიარონ მათი მნიშვნელობა. **2.** ტურისტული საქმიანობა საჭიროა წარიმართოს მასპინძელი რეგიონებისა და ქვეყნების დამახასიათებელი თავისებურებებისა და ტრადიციების შესაბამისად და მათი კანონებისა და ადათ-წესების პატივისცემით.

3. ერთი მხრივ მიმღები საზოგადოება და მეორე მხრივ ტურისტული პროცესის ადგილობრივი მონაწილეები საჭიროა ავლენდნენ პატივისცემას ტურისტებისადმი, რომლებიც მათ სტუმრობენ და უნდა ეცნობოდნენ მათი ცხოვრების, გემოვნებისა და მოლოდინების თავისებურებებს; ტურიზმის სექტორის მუშაკთა პროფესიული მომზადება და განათლება განაპირობებს სტუმარმასპინძლობის დონეს;

4. სახელმწიფო ხელისუფლება უნდა უზრუნველყოფდეს ტურისტების, დამსვენებლებისა და მათი ქონების დაცვას; განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ უცხოელი ტურისტების უსაფრთხოებას, მათი პოტენციური დაუცველობის გათვალისწინებით; ტურისტთა მოთხოვნების გათვალისწინებით, ისინი ხელს უნდა უწყობდნენ კონკრეტული ზომების გატარებას ინფორმაციის, პრევენციის, დაცვის, დაზღვევის, დახმარების საკითხებთან დაკავშირებით; თავისი ქვეყნის ეროვნული კანონების შესაბამისად, აუცილებელია მკაცრად იქნეს დაგმობილი და აკრძალული ქურდობა, თავდასხმა, ძარცვა და მუქარა, რომელიც ეხება ტურისტებს და ტურისტული ინდუსტრიის პერსონალს; ასევე, განზრახ ზარალის მიყენება ტურისტული, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ობიექტებზე.

5. მოგზაურობისას ტურისტებმა და ვიზიტორებმა არ უნდა დაუშვან კრიმინალური აქტი ან ქმედება, რომელიც მასპინძელი ქვეყნის კანონით განიხილება როგორც დანაშაული, ასევე მოქმედება, რომელიც მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობისთვის იქნება პროვოკაციული ან თუნდაც შეურაცხმყოფელი და, რომელიც ზიანს

მიაყენებს ადგილობრივ გარემოს; ტურისტები და ვიზიტორები არ უნდა ჩაერთონ ნარკოტიკების, იარაღის, ანტიკვარული ნივთების, ფლორისა და ფაუნის დაცული სახეობების, აგრეთვე ეროვნული კანონმდებლობით აღწერილი და აკრძალული საგნებისა და ნივთიერებების შემოტანასა და გატანაში.

6.ტურისტები და ვიზიტორები ვალდებული არიან, ჯერ კიდევ გამგზავრებამდე, გაეცნონ იმ ქვეყნის თავისებურებებს, რომლის სტუმრობასაც აპირებენ. ისინი უნდა აცნობიერებდნენ ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს, რომელიც ასოცირებულია

მათი ჩვეული გარემოდან გადაადგილებასთან და უნდა მოიქცნენ ისე, რომ აღნიშნული რისკები მინიმუმამდე დაიყვანონ.*[მ. მეტრეველი 2011ნ]*

მუხლი 2. ტურიზმი, როგორც ინდივიდუალური და ჯგუფური ქმედების საშუალება:

1. ტურიზმი _ საქმიანობა, რომელიც ხშირად ასოცირდება დასვენებასთან, სპორტთან, გართობასთან და კულტურასა და ბუნებასთან ურთიერთობასთან, უნდა იგეგმებოდეს და ხორცილედებოდეს, როგორც ინდივიდუალური და ჯგუფური ქმედების პრივილეგირებული საშუალება; როდესაც ტურიზმი ხორციელდება სულიერი თავისუფლებისათვის, იგი ხდება თვითგანათლების, ტოლერანტობისა და ხალხებსა და კულტურებს შორის ლეგიტიმური განსხვავებულობის შემეცნების შეუცვლელი საშუალება.

2. ტურისტული საქმიანობა პატივიცემით უნდა ეკიდებოდეს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას; ისინი უნდა პრიორიტეტად თვლიდნენ ადამიანის უფლებებს, კერძოდ, მეტ-ნაკლებად დაუცველი მოსახლეობის ჯგუფების, განსაკუთრებით, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ეთნიკური უმცირესობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინდივიდუალურ უფლებებს.

3. ადამიანის ექსპლუატაციის ყოველგვარი გამოვლინება, განსაკუთრებით, სექსუალური მიზნით და ბავშვებთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება ტურიზმის ძირითად მიზნებს და ნიშნავს ტურიზმის უარყოფას; საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, დაინტერესებულ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით,

ყოველგვარი დათმობების გარეშე, როგორც მასპინძელი ქვეყნის, ასევე იმ ქვეყნის, რომლის მოქალაქემაც ჩაიდინა დანაშაული, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა აღიკვეთოს მსგავსი ქმედებები, თუნდაც ისინი ჩადენილ იქნეს ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

4. ტურიზმის განსაკუთრებით სასარგებლო ფორმები: რელიგიური, გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო მიზნებით მოგზაურობები, ასევე კულტურული და ენის შემსწავლელი გაცვლითი ტურები, წახალისებული უნდა იქნეს.

5. საჭიროა ხელი შეეწყოს ტურისტული გაცვლების ღირებულებების შესახებ მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სარგებლიანობისა და აგრეთვე მათთან ასოცირებული რისკების შესახებ სასწავლო კურსის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა.*[მ. მეტრეველი 2011ნ]*

მუხლი 3. ტურიზმი _ მდგრადი განვითარების ფაქტორი:

1. ტურისტული ინდუსტრიის ყველა მონაწილემ უნდა დაიცვას ბუნებრივი გარემო და რესურსები, რაციონალური, უწყვეტი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად დღევანდელი და მომავალი თაობების ობიექტური საჭიროებებისა და მისწრაფებების თანაბარი დაკმაყოფილების მიზნით.

2. ტურიზმის ყველა სახეობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ეკონომიურად მოვიხმაროთ იშვიათი და ფასეული ბუნებრივი, კერძოდ, წყლისა და ენერგეტიკული რესურსები, ასევე შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შევზღუდოთ ნარჩენების წარმოშობა, ცენტრალურმა, რეგიონულმა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა უნდა აღიარონ პრიორიტეტად და წახაალისონ ფინანსურად.

3. საჭიროა დროსა და სივრცეში, განსაკუთრებით ფასიან შვებულებასა და სასკოლო არდადეგებზე მყოფი ტურისტებისა და ვიზიტორების დიდი ნაკადების, ასევე დღესასწაულების თანაბრად გადანაწილება, რათა შემცირდეს გარემოზე ტურისტული საქმიანობით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენა და გაიზარდოს

მისი დადებითი ზეგავლენა ტურისტულ ინდუსტრიასა და ადგილობრივ ეკონომიკაზე.

4. ტურისტული ინფრასტრუქტურა და ტურისტული საქმიანობა უნდა დაიგეგმოს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა, როგორიცაა ეკოსისტემები და ბიოლოგიური მრავალფეროვნებები, ასევე დაცული იქნეს გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობები; ტურიზმის განვითარებით დაინტერესული მხარეები და განსაკუთრებით ტურიზმის სფეროს პროფესიონალები უნდა ეთანხმებოდნენ განსაზღვრული შეზღუდვებისა და ზღვრების დაწესებას მათ საქმიანობაზე, თუ ისინი ხორცილდება განსაკუთრებულად მგრძნობიარე ტერიტორიებზე: უდაბნოებში, პოლარულ და მაღალმთიან რეგიონებში, სანაპირო ზოლებში, ტროპიკულ ტყეებსა და ჭაობიან ტერიტორიებზე, რომლებიც საუკეთესოა ბუნებრივი ნაკრძალების ან ეროვნული პარკების შესაქმნელად.

5. ბუნებისმოყვარულთა და ეკოლოგიური ტურიზმი აღიარებულია, როგორც ტურიზმის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ღირებული ფორმები,რადგან ისინი უზრუნველყოფენ ბუნებრივი მემკვიდრეობისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ პატივისცემას და იცავენ ტურისტულ ობიექტში ტურისტების მიღების შესაძლებლობებს.*[მ. მეტრეველი 2011ნ]*

მუხლი 4. ტურიზმი _ სფერო, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და ხელს უწყობს მის განვითარებას:

1. ტურისტული რესურსები არის კაცობრიობის საერთო მონაპოვარი; საზოგადოებები, რომელთა ტერიტორიებზედაც ისინი არიან განლაგებული, ფლობენ განსაკუთრებულ უფლებებსა და მოვალეობებს მათ მიმართ.

2. ტურისტული პოლიტიკა და საქმიანობა უნდა განხორციელდეს ხელოვნების, არქეოლოგიისა, და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემაზე დაყრდნობით, მათი დაცვისა და მომავალი თაობებისთვის გადაცემის მიზნით; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძეგლების, წმინდა ადგილებისა და მუზეუმების, ისევე,

როგორც, არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების დაცვასა და აღდგენას, რომელთა მონახულებაც ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტურისტთათვის; უნდა წახალისდეს საზოგადოებისათვის კერძო კოლექციებისა და კულტურული ძეგლების ხელმისაწვდომობა, მათი მფლობელების უფლებების პატივისცემის გათვალისწინებით, ასევე რელიგიური მნიშვნელობის ობიექტების ხელმისაწვდომობა მომავალი თაობების მოთხოვნების ზიანის მიუყენებლად.

3. ტურისტული ობიექტებისა და ძეგლების მონახულების შედეგად მიღებული ფინანსური რესურსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული უნდა იქნეს კულტურული მემკვიდრეობის შენახვის, დაცვის, განვითარებისა და სრულყოფისათვის.

4. ტურისტული საქმიანობის განვითარება ისე უნდა დაიგეგმოს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ტრადიციული კულტურის, ხელნაკეთი ნივთებისა
და ფოლკლორის ინდივიდუალობის შენარჩუნება და აღორძინება და არა მათი შეცვლა და სტადარტიზება.*[მ. მეტრეველი 2011ბ]*

მუხლი 5. ტურიზმი _ მომგებიანი საქმიანობა მასპინძელი ქვეყნებისა და საზოგადოებებისთვის:

1. ადგილობრივი მოსახლეობა უნდა ჩაერთოს ტურისტულ საქმიანობაში და მათზე თანაბრად უნდა განაწილდეს მიღებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სარგებელი, განსაკუთრებით, მასთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული საქმიანობის შედეგად შექმნილი სამუშაო ადგილების ფორმით.

2. ტურისტული პოლიტიკა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ დააკმაყოფილოს მასპინძელი რეგიონის ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები და აამაღლოს მათი ცხოვრების დონე; ტურისტული კურორტებისა და განთავსების ობიექტების არქიტექტურული დაგეგმარებისა და ოპერირებისადმი მიდგომაში საჭიროა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მათი ინტეგრაცია ადგილობრივ სოციალურეკონომიკურ გარემოსთან; თანაბარ პირობებში, უპირველეს ყოვლისა, პრიორიტეტული უნდა იყოს ადგილობრივი სამუშაო ძალის გამოყენება.

3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სანაპირო ზოლისა და კუნძულოვანი ტერიტორიების, ასევე ადვილად დაზიანებადი (მგრძნობიარე) სოფლებისა და მთიანი რაიონების სპეციფიკურ პრობლემებს; მათთვის ტურიზმი, ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობის დაცემის შემთხვევში, ხშირად, განვითარების ერთ-ერთი იშვიათი შესაძლებლობაა.

4. ტურიზმის სფეროს პროფესიონალები, განსაკუთრებით, ინვესტორები ვალდებული არიან, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მიღებული კანონების შესაბამისად, ჩაატარონ გარემოსა და ბუნებაზე მათი პროექტების განხორციელების ზეგავლენასთან დაკავშირებული კვლევები;ასევე, მათ ობიექტურად და მაქსიმალური გამჭვირვალობით უნდა წარადგინონ ინფორმაცია მომავალი გეგმებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ და ხელი შეუწყონ აღნიშნულ თემებზე დიალოგის გამართვას ადგილობრივ მოსახლეობასთან.*[მ. მეტრეველი 2011წ]*

მუხლი 6. ტურიზმის განვითარების მონაწილეების ვალდებულებები:

1. ტურიზმის სფეროს პროფესიონალები, ვალდებული არიან ტურისტებს წარუდგინონ რეალური და ობიექტური ინფორმაცია დანიშნულების პუნქტისა და მოგზაურობის პირობების, მიღებისა და ადგილზე ყოფნის შესახებ; ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ხელშეკრულების პირობები, რომელსაც სთავაზობენ კლიენტებს ადვილად გასაგებია მათთვის, როგორც ფასებთან და მომსახურების ხარისხთან, ასევე ფინანსურ კომპენსაციასთან დაკავშირებით, მათი მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების ცალმხრივად დარღვევის შემთვევაში.

2. ტურიზმის სფეროს პროფესიონალები, მათი შესაძლებლობების დონეზე, ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ვალდებული არიან ზრუნავდნენ იმ ტურისტების უსაფრთხოებაზე, უბედური შემთხვევების პრევენციაზე, ჯანმრთელობის დაცვასა და კვების უსაფრთხოებაზე, რომლებსაც მომსახურებას უწევენ, ასევე, მათ უნდა უზრუნველყონ დაცვისა და დაზღვევის მათთვის სასურველი სისტემები; აიღონ პასუხისმგებლობა და იყვნენ ანგარიშვალდებულნი იმ პირობების შესაბამისად,

რომელიც გათვალისწინებულია მათი ეროვნული კანონმდებლობით და გასცენ კომპენსაცია თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებების არშესრულების შემთხვევაში.

3. ტურიზმის სფეროს პროფესიონალები, მათი შესაძლებლობების ფარგლებში, ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ტურისტების კულტურულ და სულიერ სრულყოფას და საშუალება მისცენ მათ მოგზაურობის პერიოდში დაიკმაყოფილონ თავიანთი რელიგიური მოთხოვნილებები.

4. ტურისტების მიმღები და გამგზავნი ქვეყნების ხელისუფლებები, ტურიზმით დაინტერესებულ პროფესიონალებთან და მათ ასოციაციებთან ერთად ვალდებული არიან უზრუნველყონ ტურისტთა რეპატრიაციასთან დაკავშირებული საშუალებები მოგზაურობის ორგანიზატორი კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში.

5. მთავრობას უფლება აქვს და პასუხისმგებლობა ეკისრება, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში, თავის მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია პირობების სირთულეზე და მოსალოდნელ საფრთხეებზედაც კი, რომელიც შეიძლება შეხვდეთ მათ საზღვარგარეთ მოგზაურობისას; პასუხისმგებლობის მიუხედავად, გაცემულმა ინფორმაციამ გაუმართლებელი და გადაჭარბებული ზარალი არ უნდა მიაყენოს მიმღები ქვეყნის ტურისტულ ინდუსტრიასა და საკუთარი ქვეყნის ტურისტული კომპანიების ინტერესებს; ასეთი შესაძლებელი გაფრთხილებების შინაარსი წინასწარ უნდა განიხილონ მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლების შესაბამისმა ორგანიზაციებმა და დაინტერესებულმა პროფესიონალებმა; შემუშავებული რეკომენდაციები მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს შექმნილ სიტუაციას და შემოიფარგლებოდეს იმ გეოგრაფიული ზონებით, სადაც უსაფრთხოების პრობლემებია; აღნიშნული გაფრთხილებები უნდა შერბილდეს ან მოიხსნას სიტუაციის ნორმალიზებასთან ერთად.

6. პრესამ, განსაკუთრებით კი ტურისტულ საქმიანობაზე სპეციალიზებულმა, და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა, მათ შორის, თანამედროვე ელექტრონულმა კავშირებმა, უნდა უზრუნველყონ უტყუარი და დაბალანსებული ინფორმაცია იმ მოვლენებსა და სიტუაციებზე, რომლებსაც შეუძლია გავლენა

იქონიოს ტურისტთა ნაკადებზე; ამავე დროს, ტურისტული მომსახურებების მომხმარებლები უნდა უზრუნველყონ ზუსტი და საიმედო ინფორმაციით; ამ მიზნით შემუშავებულია და გამოიყენება ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები; ამავე დროს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ხელი არ უნდა შეუწყოს სექსტურიზმის განვითარებას.*[მ. მეტრეველი 2011ნ]*

მუხლი 7.უფლებები ტურიზმზე:

1. შესაძლებლობა, უშუალოდ და პირადად აღმოაჩინო და დატკბე ჩვენი პლანეტის ღირშესანიშნაობებით, წარმოადგენს უფლებას, რომელსაც თანაბრად ფლობს დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი; შიდა და საერთაშორისო ტურიზმში სულ უფრო აქტიური ჩართულობა უნდა განიხილებოდეს, როგორც თავისუფალი დროის ზრდის შესაძლებლობის საუკეთესო გამოვლინება და ამ მოვლენის შეფერხება შეუძლებელია.

2. ტურიზმზე საყოველთაო უფლება უნდა განიხილებოდეს, როგორც უფლების გამოხატვა დასვენებაზე, გაჯანსაღებაზე, ფასიან შვებულებასა და სამუშაო დროის ხანგრძლივობაზე, სამუშაო დროის გონივრულად შეზღუდვისა და პერიოდული ანაზღაურებადი შვებულებების ჩათვლით, რომელიც გარანტირებულია ადამიანის დაცვის საყოველთაო დეკლარაციის 24-ე თავის მე-7 მუხლით და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებით.

3. სახელმწიფო ხელისუფლების მხარდაჭერით აუცილებელია ხელი შეეწყოს სოციალური ტურიზმისა და განსაკუთრებით, ჯგუფური ტურიზმის განვითარებას, რომელიც განაპირობებს დღესასწაულებზე, დასვენებასა და მოგზაურობაში მასობრივ ჩართულობას.

4. უნდა წახალისდეს და ხელი შეეწყოს ოჯახური, ახალგაზრდული და სტუდენტური, ასევე, მოხუცებისა და ინვალიდებისათვის ტურიზმის სპეციალიზებული სახეობების განვითარებას.*[მ. მეტრეველი 2011ნ]*

მუხლი 8. ტურისტული მოგზაურობის თავისუფლება:

1. ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-13 თავის შესაბამისად, საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობების გათვალისწინებით, ტურისტები და ვიზიტორები ფლობენ, როგორც თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე, ასევე ერთი ქვეყნიდან მეორეში თავისუფლად გადაადგილების უფლებას; მათ უნდა შეეძლოთ ტრანზიტულ ზონებსა და დანიშნულების პუნქტებში, ასევე ტურისტულ და კულტურულ ობიექტებზე გადაადგილდნენ გადაჭარბებული ფორმალობებისა და დისკრიმინაციის გარეშე.

2. ტურისტებსა და ვიზიტორებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა როგორც შიდა, ასევე გარე კომუნიკაციების ნებისმიერ არსებულ ფორმასთან; მათ უნდა შეეძლოთ შეუფერხებლად დაუკავშირდნენ ადგილობრივ ადმინისტრაციულ, იურიდიულ და სამედიცინო მომსახურების ოპერატიულ დაწესებულებებს, მოქმედი დიპლომატიური კონვენციების შესაბამისად, საკუთარი ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენლებს.

3. ტურისტები და ვიზიტორები უნდა სარგებლობდნენ იგივე უფლებებით, როგორითაც მასპინძელი ქვეყნის მოქალაქეები, პირადი მონაცემებისა და ინფორმაციის კონფიდენციალობასთან, განსაკუთრებით, ელექტრონული მეთოდით შენახულ მონაცემებთან დაკავშირებით.

4. სახელმწიფოების კონპეტენციას მიკუთვნებული ან საერთაშორისო შეთანხმებებიდან გამომდინარე საზღვრის გადაკვეთის ადმინისტრაციული პროცედურები, როგორიცაა, საგიზო, სანიტარიული და საბაჟო ფორმალობები, შეძლებისდაგვარად ისე უნდა იქნეს ადაპტირებული, რომ მაქსიმალურად გააადვილოს თავისუფალი მოგზაურობა და საერთაშორისო ტურიზმზე ხელმისაწვდომობა; უნდა წახალისდეს ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფებს შორის შეთანხმებები, რომლებიც მიმართულია აღნიშნული პროცედურების ჰარმონიზაციისა და გამარტივებისაკენ; საჭიროა თანდათან გაუქმდეს ან შევიდეს ცვლილებები სპეციალურ გადასახადებსა დამ მოსაკრებლებში, რომლებიც აფერხებენ ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას და ამცირებენ მის კონკურენტუნარიანობას.

5. ვიზიტორებს უნდა შეეძლოთ, იმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, საიდანაც მიემგზავრებიან, შეიძინონ მოგზაურობისათვის აუცილებელი თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა.*[მ. მეტრეველი 2011ნ]*

მუხლი 9. ტურისტული ინდუსტიის მუშაკებისა და მეწარმეების უფლებები:

1. ტურისტულ ინდუსტრიასა და მომიჯნავე დარგებში დაქირავებული და დამოუკიდებელი მუშაკების ძირითადი უფლებები გარანტირებული უნდა იყოს და კონტროლდებოდეს, როგორც მიმღები, ასევე გამყვანი სახელმწიფოების ეროვნული და ადგილობრივი ადმინისტრაციების მიერ, განსაკუთრებით ისეთ სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც იწვევს მათი საქმიანობის სეზონურობა, ტურისტული ინდუსტრიის გლობალური მასშტაბები და მოქნილობა, რომელსაც მათგან სამუშაოს სპეციფიკა ითხოვს.

2. ტურიზმის სფეროს და მომიჯნავე დარგების დაქირავებულ და დამოუკიდებელ მომსახურე პერსონალს აქვთ უფლება და ვალდებულნი არიან გაიარონ სათანადო დაწყებითი განათლება და მუდმივად აიმაღლონ კვალიფიკაცია; მათ უნდა ჰქონდეთ ღირსეული სოციალური უზრუნველყოფა; საჭიროა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამაღლდეს მათი დასაქმების საიმედოობა; სექტორის სეზონურ მუშაკებს უნდა შეთავაზონ განსაკუთრებული სტატუსი, კერძოდ, სოციალურ დაცვასთან დაკავშირებით.

3. საჭირო უნარებისა და კვალიფიკაციის მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, უნდა ჰქონდეთ ტურიზმის სფეროში პროფესიული საქმიანობის უფლება; მეწარმეებისთვის და ინვესტორებისთვის, განსაკუთრებით, მათთვის რომლებიც წარმოადგენენ მცირე და საშუალო საწარმოებს, მინიმალური იურიდიული და ადმინისტრაციული შეზღუდვებით, თავისუფლად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტურისტული სექტორის სფეროები.

4. სხვადასხვა ქვეყნების, როგორც დაქირავებული და ისე დამოუკიდებელი მმართველი კადრებისა და მუშაკების გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ხელს უწყობს მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას; ეს მოძრაობები

მაქსიმალურად უნდა წახალისდნენ, როგორც ეროვნული კანონმდებლობებით, ასევე საერთაშორისო კონვენციებით.

5. ტურისტული ინდუსტრიის მულტინაციონალური კომპანიები, რომლებიც შეუცვლელი ფაქტორებია საერთაშორისო გაცვლების დინამიურ ზრდასა და განვითარებაში, ბოროტად არ უნდა იყენებდნენ დომინანტურ პოზიციას, რომელსაც ისინი ზოგჯერ იკავებენ; მათ თავიდან უნდა აიცილონ მასპინძელი ქვეყნის საზოგადებისათვის არ გახდნენ სოციალურკულტურული მოდელების ხელოვნურად თავსმოხვევის საშუალება; მათ უნდა მთლიანად აღიარონ ინვესტიციების დაბანდებისა და ვაჭრობის თავისუფლება, რომლის სანაცვლოდაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივ განვითარებაში, არ დაუშვან წვლილის შემცირება ეკონომიკის ზრდაში, რომელშიც ისინი საქმიანობენ, თავიანთი მოგებების გადამეტებული რეპატრიაციითა და იმპორტის სტიმულირებით.

6. პარტნიორობა და დაბალანსებული ურთიერთობების ორგანიზება მიმღები და გამყვანი ქვეყნების მეწარმეებს შორის ხელს უწყობს ქვეყანაში ტურიზმის მდგრად განვითარებასა და მისი ზრდით მიღებული სარგებლის სამართლიანად გადანაწილებას.*[მ. მეტრეველი 2011ნ]*

მუხლი 10. ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსის რეალიზაციის პრინციპები:

1. ტურისტული პროცესის, სახელმწიფო და კერძო მონაწილეებმა ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსის პრინციპების განსახორციელებლად და აკონტროლონ მათი ეფექტიანი გამოყენება.

2. ტურისტული საქმიანობის მონაწილეებმა უნდა აღიარონ საერთაშორისო ორგანიზაციების, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (WTO) და არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით დაკავებულნი არიან

ტურიზმის წინ წაწევისა და განვითარების, ადამიანთა უფლებების დაცვის, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებით.

3. ამავე მონაწილეებმა უნდა გამოხატონ ნება, ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსის გამოყენებასთან ან ცნებების ინტერპრეტირებასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი გადასცენ მიუკერძოებელ მე-3 მხარეს, რომელსაც დაასახელებს ,,მსოფლიო ტურიზმის ეთიკის კომიტეტი“.*[მ. მეტრეველი 2011ბ]*

ტურიზმის ქარტია:ტურიზმის ქარტია მოწონებულ იქნა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ (WTO) 1985 წელს. საქართველო WTO-ს წევრია 1993 წლიდან, ქარტია კი აღიარებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ საკუთარ თავზე აიღო რიგი ვალდებულებები, რომელიც აუცილებელია შესრულდეს ქარტიის მონაწილე ყველა ქვეყნის მიერ.*(მ. მეტრეველი 2011)*

მსოფლიოში აღიარებულია თითოეული ადამიანის დასვენების თავისუფალიდროის გამოყენებისა და სამუშაო დღის გონივრული შეზღუდვის უფლება, პერიოდული ხელფასიანი შვებულების ჩათვლით, აქედან გამომდინარე, ქარტიის მონაწილე თითოეული სახელწიფო, მათ შორის საქართველოც მოვალეა:

- იზრუნოს როგორც შიდასაქვეყნო, ისე საერთაშორისო ტურიზმის მოწესრიგებული და ჰარმონიული განვითარებისათვის;
- შეუფარდოს ტურიზმის პოლიტიკა საერთო განვითარების პოლიტიკას, რომელიც ხორციელდება ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; გააფართოვოს თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე და ამ მიზნით გამოიყენოს საერთაშორისო ტურიზმის ორგანიზაციის შესაძლებლობებიც;
- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდული, ხანდაზმულთა და ფიზიკური ნაკლის მქონეთა ტურიზმის განვითარებას; სამუშაო და

თავისუფალი დროის რეგულირებით, ხელფასიანი შვებულებების სისტემის გაუმჯობესებითა და ამ შვებულებათა დღეების მთელი წლის მანძილზეთანაზომიერი განაწილებით ხელი შეუწყოს თითოეული ადამიანის ჩართვას შიდასაქვეყნო და საერთაშორისო ტურიზმში;

- ტურიზმის სფეროში ეროვნული პოლიტიკისა და გეგმების შემუშავებისას (სადაც მიზანშეწონილია) გაითვალისწინოს „მსოფლიო ტურიზმის შესახებ“ მანილის დეკლარაციის პრინციპები და აკაპულკოს დოკუმენტი;
- დაიცვას დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ტურისტული გარემო, რომელიც კაცობრიობის კუთვნილებაა;
- ხელი შეუწყოს ტურისტული შეგნების ამაღლებას და დამთვალიერებელთა კონტაქტებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთგაგების გაღრმავებისა და ზნეობრივი ურთიერთგამდიდრების მიზნით;
- ხელი შეუწყოს ტურისტებს მოიძიონ საზოგადოებრივი მონაპოვრები მოგზაურობის ადგილებში და გაითვალისწინონ მოგზაურობათა შეზღუდვების გამუდმებული შემცირების ტენდენცია;
- უზრუნველყოს დამთვალიერებლების და მათი ქონების უსაფრთხოება;
- შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს ტურისტები საუკეთესო ჰიგიენური პირობებით და სამედიცინო მომსახურებით, დაიცვას ისინი ინფექციური დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისაგან;
- აღკვეთოს პროსტიტუციის მიზნით ტურიზმის გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა;
- ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის დაცვის მიზნით გააძლიეროს ღონისძიებანი ნარკოტიკების არალეგალური გამოყენების თავიდან ასაცილებლად;
- ტურისტებს მიეცეს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების საშუალება ისე, რომ არ დაირღვეს ცალკეული რაიონების მიმართ ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით წაყენებული შეზღუდვები;
- არ დაუშვას რაიმე დისკრიმინაციული ზომები ტურისტთა მიმართ;

- ტურისტებს მიეცეს საშუალება შეუფერხებლად დაუკავშირდნენ ადმინისტრაციულ, იურიდიულ სამსახურებს, საკონსულოთა წარმომადგენლებს და ისარგებლონ კავშირის ადგილობრივი თუ საგარეო საშუალებებით;
- ტრანზიტისა თუ დროებითი გაჩერების ადგილებში ხელი შუწყოს ტურისტთა ინფორმირებულობას მკვიდრი მოსახლეობის ადათწესების შესახებ.*[მ. მეტრეველი 2011წ]*

ტურიზმის ქარტია ასევე მოიცავს **ტურისტის კოდექსს,** რომელშიც განსაზღვრულია ტურისტთა უფლება-მოვალეობები; ტურისტები ვალდებულნი არიან:

- პატივი სცენ ტრანზიტისა და დროებითი გაჩერების ადგილებში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ და რელიგიურ წყობილებას და დაემორჩილონ იქ მოქმედ კანონებსა და წესებს;
- გაგებით მოეკიდონ და პატივი სცენ ადგილობრივი მოსახლეობის ადათწესებს, რწმენას, ბუნებრივ და კულტურულ ფასეულობებს;
- თავი შეიკავონ მათსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებული ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული სხვაობების ხაზგასმისაგან;
- განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდონ ადგილობრივი მოსახლეობის კულტურას, რომელიც კაცობრიობის საერთო მონაპოვარია;
- არ დაუშვან ნარკოტიკებით და აკრძალული პრეპარატებით ვაჭრობა და სხვა პირთა ექსპლუატაცია პროსტიტუციის მიზნით.*[მ. მეტრეველი 2011წ]*

თავი 2. ტურიზმის რეგულირების მნიშვნელობა დარგის მდგრადი განვითარებისთვის

2.1. ტურიზმის მდგრადობის მიღწევის საშუალებები

ტურიზმი ევროპის ეკონომიკის ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტურიზმის ინდუსტრია არის ეკონომიკის დარგთაშორისი სექტორი რომ ტურიზმის ინდუსტრიას დიდი წვლილი შეაქვს ევროკავშირის ეკონომიკაში, რომელიც მრავალი კონტრაგენტისა და ტურიზმის შუამავლების საქმიანობას

აერთიანებს და პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული ტურისტულ მომსახურებასთან. ევროპის ტურიზმის ინდუსტრია, სახალხო მეურნეობის ტურიზმის მომიჯნავე დარგების (ვაჭრობის, ტრანსპორტის, საზკვების და ა. შ.) ჩაუთვლელად, ქმნის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის 4%-ზე მეტს. ტურიზმის ინდუსტრია, აგრეთვე ეროვნულ ეკონომიკათა მომიჯნავე სექტორები უზრუნველყოფს გაფართოებული ევროკავშირის შრომისუნარიანი მოსახლეობის 12%-ის დასაქმებას, რაც შეადგენს 24 მილიონ სამუშაო ადგილს. ტურიზმი, სხვა სიკეთესთან ერთად, ხელს უწყობს ევროკავშირის მრავალრიცხოვანი რეგიონების განვითარებას. ამ რეგიონებში ტურისტული მიზნებისთვის შექმნილი ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე .*[www.istudent.ge]*

გარდა ეკონომიკური სარგებელისა, ტურიზმი უდიდეს სოციალურ გავლენას ახდენს ევროპული საზოგადოების ცხოვრებაში. ტურიზმის, რო¬გორც სოციალური მოვლენის წარმატება იმაში მდგომარეობს, რომ მას საფუძვლად უდევს ადამიანის მუდმივი მოთხოვნილების – გარემომცველი სამყაროს შეცნობის – დაკმაყოფილება.ტურიზმი პირველ რიგში ხალხი და მათი ერთმანეთთან ურთიერთობაა.ამგვარად, ტურიზმი ხელს უწყობს ევ¬როკავშირის წევრ ქვეყნების შორის კულტურათაშორისი ურთიერთო¬ბების ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ევროპის ერთიან კულ¬ტურულ-ისტორიული ორგანიზმად აღქმის პროცესს [13] [3].ყოველივე ზემოთთქმული მიუთითებს იმაზე, რომ ტურიზმის ინ¬დუსტ¬რიას დიდი წვლილი შეაქვს ევროკავშირის ეკონომიკაში. თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ რას აკეთებს ევროკავშირი და მისი სტრუქტურები მონაწილე ქვეყნების ტურიზმის განვითარებისათვის.წარმოდგენილია თუ არა ევროკავშირი ერთიანი ტურისტული პროდუქტით საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე თუ ეს არის დამოუკიდებელი ტურისტული პროდუქტების კომპლექსი, რომელსაც ყოველი წევრი ქვეყანა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ქმნის?არის თუ არა

ევროკავშირის ტურიზმის განვითარების პოლიტიკა ერთიანი ყველა მონაწილე ქვეყნის მიმართ თუ მათ გააჩნიათ სრული დამოუკიდებლობა ამ საკითხში?ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ტურიზმის დარგში ევროკავშირის პოლიტიკის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა.ტურიზმის სფეროში დასაქმების პოლიტიკის წარმართვაში მნიშვნე¬ლოვან როლს თამაშობს ევროპის სოციალური ფონდი.ის აფინანსებს პროე¬ქტებს, რომელ¬თა მიზანია კადრების მომზადება და გადამზადება შრომის წარმადობის გასაზრდელად.როგორც ნაწილი ამ ფონდის საქმიანობის ფარგ¬ლებში ხორციელ¬დება აგრეთვე ევროკავშირის ქვეყნებში მცირე ტურის¬ტული საწარმოების საქმიანობის ხელშეწყობა.ეს მოქმედება სასიკე¬თოდ მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებაზე და მოსახლე¬ობის დასაქმების დონის ამაღლებაზე. *[www.istudent.ge]*

ტურიზმის რეგულირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია,რათა დარგში მიღწეული იყოს მდგრადობა.ამისათვის არსებობს **ტურიზმის მდგრადობის მიღწევის საშუალებები**:

1. **შეფასების საშუალებები (მდგრადობის ინდიკატორები და მონიტორინგი; ტურიზმის შეზღუდვის იდენტიფიცირება)**

ინდიკატორების საშუალებით შესაძლებელია მიმდინარე პრობლემების არსებობის ან სიმწვავის გამოვლენა, ისინი გვიჩვენებენ მოსალოდნელ სიტუაციებს ან პრობლემებს, რისკის მასშტაბსა და საჭირო ქმედებების პოტენციალს, აგრეთვე, გვეხმარება ჩვენი საქმიანობის შედეგების იდენტიფიცირებასა და გაზომვაში. ინდიკატორები (მაჩვენებლები) წარმოადგენენ ინფორმაციის კომპლექტს, რომლებიც შერჩეულია, რათა გამოყენებულ იქნას იმ ცვლილებების რეგულარული შეფასებისათვის, რომლებიც მნიშვნელოვანია ტურიზმის განვითარებისა და მართვისათვის. მათი საშუალებით შეიძლება გავზომოთ.

ა) ცვლილებები ტურიზმის სტრუქტურებსა და შიდა ფაქტორებში;

ბ) გარე ფაქტორების ცვლილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ტურიზმზე;

გ) ტურისტული საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება

როგორც რაოდენობრივი ასევე ხარისხობრივი ინფორმაცია გამოიყენება მაჩვენებლების მდგრადობისათვის. მაჩვენებელი, ჩვეულებრივ, შერჩეულია მრავალ შესაძლებელ მონაცემთა კომპლექტის ან საინფორმაციო წყაროებიდან და დაკავშირებულია იმ ძირითად საკითხებთან, რომლებზეც ტურიზმის მენეჯერები პასუხს აგებენ. მათი გამოყენება არასასურველი (ან არამდგრადი) სიტუაციების განსაზღვრისა და თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორები, ტურიზმის მდგრადი განვითარების კონტექსტში, დროითი ინფორმაციაა, რაც სტრატეგიულია ტურისტული ადგილის მდგრადობისათვის, მისი აქტივებისა და საბოლოო ჯამში, ტურიზმის სექტორისათვის.

ნებისმიერი ტურისტული ადგილისათვის საუკეთესო მაჩვენებლები ინდიკატორები არიან, რომლებიც რეაგირებენ ტურიზმის მდგრადობის ძირითად რისკებსა და შეკითხვებზე და ასევე, გვაწვდიან ინფორმაციას, რომელიც საკითხების გარკვევისა და სათანადო რეაგირების შესაძლებლობას იძლევა. მაჩვენებლები, ჩვეულებრივ, რეაგირებენ ტურისტული ადგილის ბუნებრივი რესურსების და გარემოს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ სტაბილურობასთან, კულტურულ და სოციალურ ღირებულებებთან და ტურიზმის სექტორში ორგანიზაციისა და მართვის საკითხებთან. *[www.istudent.ge]*

მაჩვენებლები ჩაითვლება შესაბამისად, თუ ისინი ეფექტურად წყვეტენ ტურისტული ადგილის დაგეგმვისა და მართვის ძირითად საკითხებს. შესაძლებელი უნდა იყოს მათი შეგროვება, ანალიზი და პრაქტიკული გამოყენება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩატარდა ტურიზმის მდგრადობის ძირითადი საკითხების დაზუსტებასა და საშუალებებზე, რომლითაც ინდიკატორები დაეხმარება უკეთეს გადაწყვეტილებებს და ქმედებებს. ინდიკატორების შემუშავება და გამოყენება სულ უფრო ხშირად განიხილება, როგორც ტურისტული ადგილის დაგეგმვისა და მართვის საფუძველი და ტურიზმის სექტორის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი.

ტურიზმის სექტორში გადაწყვეტილების მიმღები პირები უნდა ერკვეოდნენ ტურიზმსა და ბუნებრივ და კულტურულ გარემოს შორის კავშირებში, მათ შორის,

ეკოლოგიური ფაქტორების ტურიზმზე ზეგავლენის (შესაძლო რისკები ტურიზმისათვის) და გარემოზე ტურიზმის ზემოქმედების (რომელიც შეიძლება გამოხატოს რისკებით ტურისტულ პროდუქტზე). პასუხისმგებლობა მოითხოვს ცოდნას. არსებული და ახლად შეგროვილი გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გამოყენებას. ეს ინფორმაცია, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა ტურისტული ადგილის მდგრადობის მნიშვნელოვანი საკითხები შეფასდეს განუწყვეტლივ. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ტურიზმის დაგეგმვისა და მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესება. მისი მიზანია შემცირდეს მოსალოდნელი რისკები ტურიზმის სფეროში და ტურისტული ადგილის მიმართ.*[www.istudent.ge]*

ინდიკატორებიდან მიღებული ზოგიერთი სარგებელი მოიცავს:

1. უკეთესი გადაწყვეტილების მიღებას - ამცირებს რისკებს ან ხარჯებს;
2. წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიკაციას - რაც პრევენციის შესაძლებლობას იძლევა;
3. ზემოქმედების იდენტიფიკაციას - საჭიროების შემთხვევაში შესწორების (კორექტივების შეტანის) შესაძლებლობა;
4. გეგმების და მენეჯმენტის განხორციელების შესრულების გაზომვას - ტურიზმის მდგრადი განვითარების შეფასება;
5. დაგეგმვის შეცდომების რისკის შემცირებას - ლიმიტებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება;
6. მაღალ ანგარიშვალდებულებას - სანდო ინფორმაციის მიწოდება და მისი გონივრული გამოყენება საზოგადოებასა და ტურიზმით დაინტერესებულ მხარეებს ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
7. მუდმივ მონიტორინგს – შეუძლია გამოიწვიოს უწყვეტი გაუმჯობესების პროცესი.

სხვადასხვა მასშტაბით შემუშავებული მაჩვენებლები ხშირად მკაცრად ურთიერთდაკავშირებულია. თუ გავაერთიანებთ, ბევრი მათგანი შეიძლება გამოვიყენოთ უმაღლესი დონის ინდიკატორების შესაქმნელად. სხვა ადგილებთან ან რეგიონებთან დაკავშირებულ მაჩვენებლებსაც შეუძლიათ თავისი წვლილი

შეიტანონ შედარებით ანალიზში. მაგალითად, ცალკეული ტურისტული დაწესებულებების მიერ შეკრებილი გარემოს მდგომარეობის მაჩვენებლები, ჩვეულებრივ, მიეწოდება სასტუმროებისა და რესტორნების ქსელების, სატრანსპორტო კომპანიებისა და ტუროპერატორების ცენტრალურ მმართველობას, როგორც ჩვეულებრივი სამუშაო პროცესის ნაწილი და შეიძლება დაგეგმვის პროცესში კომპანიის დონეზე გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვანი საშუალება იყოს.*[www.istudent.ge]*

ტურისტული ადგილის მდგრადობის მაჩვენებლები ხშირად დაფუძნებულია უფრო კონკრეტულ დონეზე ტურისტებისაგან მიღებულ მონაცემებზე კონკრეტული ტურისტული ატრაქციების და ინდივიდუალური ტურისტული დაწესებულებების გამოყენების შესახებ. ადგილობრივი დონის ინდიკატორები აუცილებელი საშუალებაა რეგიონულ დონეზე დაგეგმვის პროცესისათვის, რომლებიც შემდგომ აგროვებს ინფორმაციას ინდიკატორებისათვის ეროვნულ დონეზე.

თუ არ არსებობს სტრატეგია ან გეგმა (ან თუნდაც დამგეგმავი ორგანო) ინდიკატორების განვითარების პროცესი ეფექტური საშუალებაა საკვანძო საკითხებზე ყურადღების გასამახვილებლად, ფაქტობრივ მდგომრეობაზე ინფორმაცია მისაღებად, წარმოების გასაუმჯობესებლად მიზნების დასახვისა და ქმედებების დადგენისათვის. სხვა სიტყვებით, ინდიკატორების არსებობა გულისხმობს უფრო სისტემატურ დაგეგმვის ან მართვის პროცესს. *[www.istudent.ge]*

თავი 2.2 მდგრადი განვითარების ინდიკატორები

მდგრადი განვითარების ინდიკატორები შეიძლება იყოს: მართვის და კონტროლის ინსტრუმენტები - კანონმდებლობა, რეგულირება და ლიცენზირება; ეკონომიკური ინსტრუმენტები - გადასახადები, ფინანსური სტიმულები და ხელშეკრულებები; ნებაყოფლობითი ინსტრუმენტები - აუდიტი, ნებაყოფლობითი სერტიფიცირება, ნებაყოფლობითი შემოწირულობები; დამხმარე საშუალებები -

ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა და მენეჯმენტი, სიმძლავრეების მშენებლობა, მარკეტინგისა და საინფორმაციო მომსახურება.

1. მართვის და კონტროლის საშუალებები

მდგრადობის გაძლიერებისათვის გამოყენებული ერთმანეთთან დაკავშირებული ინსტრუმენტებია - კანონმდებლობა, რეგულირება და ლიცენზირება, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა და შეუსრულებლობის შემთხვევაში მივყართ სანქციებსა და ჯარიმებამდე. ხელისუფლებას შეუძლია გამოიყენოს კანონები და ჯარიმები ბიზნესის განვითარების, ოპერირების კონტროლისა და ადამიანების ქცევაზე გავლენის მოსახდენად.

კანონმდებლობა და რეგულაციები უნდა გამოყენებული იქნას, როდესაც მთავრობა აუცილებლად მიიჩნევს მათ საჭიროებას. თუმცა, წარმატების მისაღწევად საჭიროა შესაბამისი, ნათელი, პრაქტიკული და ასრულებადი წესები. სწორი მიდგომაა:

- ადგილზე არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ხელს უწყობს ტურიზმის მდგრადობას და მოქმედების საშუალებას აძლევს უფლებამოსილ პირებს;
- მკაფიო და შესასრულებლად სავალდებულო წესები, საჭიროების შემთხვევაში ლიცენზირება - მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილება;
- მდგრადობის მაჩვენებლების ამაღლება სტანდარტების მეშვეობით.

ტურიზმის განვითარების, ოპერირებისა და მართვის მთელი რიგი ასპექტები უნდა იყოს კონტროლირებადი კანონმდებლობისა და წესების მეშვეობით გარემოს, საზოგადოების, მნახველებისა და ბიზნესის ფუნქციონირების დასაცავად. ესენია:

- დაგეგმვისა და განვითარების წესები.
- მომსახურე პერსონალის უფლებები და სამუშაო პირობები.
- მნახველთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, როგორიცაა საკვები პროდუქტების ჰიგიენა, სახანძრო და უბედური შემთხვევის რისკის შემცირება.

- სავაჭრო პრაქტიკა და ვაჭრობის შესაძლებლობები.
- გარემოზე მიყენებული სერიოზული ზიანის (მაგ. ჰაერისა და წყლის).
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის ძირითად შემაწუხებელი ფაქტორის, როგორიცაა ზედმეტი ხმაური.
- წყლის და სხვა შეზღუდული რესურსების გამოყენება.
- სერიოზული გადაცდომა და ექსპლუატაცია მნახველების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის და პირიქით.
- ხელმისაწვდომობა მომსახურებაზე, მიწაზე და ა.შ.*[www.istudent.ge]*

ზემოთ მოყვანილი ასპექტები საყოველთაო ინტერესს იწვევს და აქედან გამომდინარე თითოეულ ქვეყანაში მოქმედებს ძირითადი სამართლებრივი ჩარჩო სხვადასხვა სახის ტურიზმის შესაბამისად. ასევე შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, როდესაც საჭიროა კონკრეტული რეგულაციები, დაკავშირებული კონკრეტულ საქმიანობასთან ან ადგილთან.

ეროვნული ტურიზმის კანონებში გადმოცემულია მთავრობებისა და მათი უწყებების მოვალეობები ტურიზმის მიმართ. იგი გრძელვადიანი ტურიზმის პოლიტიკის კონსტიტუციური საფუძველია და უფრო დაცულია ხანმოკლე პოლიტიკური გავლენისაგან, ვიდრე ჩვეულებრივი ტურიზმის სტრატეგია. მდგრადი ტურიზმის პრინციპები შეიძლება შეტანილი იყოს ახალი ტურისტული კანონების პრეამბულაში და ფორმულირდეს სხვადასხვა სტატიაში. ეს შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივი საზოგადოების განსაკუთრებულ მხარდაჭერას, ბუნებრივი რესურსების დაცვას და ა.შ.

ტურიზმის კანონებს, ასევე, შეუძლია უზრუნველყოს საფუძველი ტურიზმის სექტორში (როგორიცაა სასტუმროები) კონტროლისა და ლიცენზირების საქმიანობისათვის და გარკვეული ქმედებები ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად (მაგალითად, ფინანსური დახმარების გაწევის კუთხით).

პრინციპში, საჭიროა კანონმდებლობის მეშვეობით გაკონტროლდეს ტურიზმის ზემოქმედების მრავალი ასპექტი და მოიცავდეს შესაბამისი სფეროს კანონებს (მაგალითად, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ან დასაქმების კანონმდებლობა).

თუმცა, უნდა განისაზღვროს კავშირები ტურიზმის კანონსა და სხვა სფეროების კანონებს შორის.

ჰარმონიზაციისა და სინქრონიზაციის პროცესი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ის უნდა:

- ახდენდეს ტურიზმის მდგრადობის შესაბამისი სხვა კანონების იდენტიფიცირებას.
- მინიმუმამდე ამცირებდეს ნებისმიერ კონფლიქტს სხვადასხვა სფეროში მოქმედ კანონმდებლობას შორის.
- უზრუნველყოს, რომ არ არსებობდეს გაუგებარი დუბლირება ხელისუფლებასა და სხვადასხვა უწყებების პასუხისმგებლობას შორის.

- შეკრიბოს ინფორმაცია ყველა შესაბამის კანონმდებლობაზე, რათა შესაძლებელი გახდეს მისი გაცნობა ინდუსტრიის დაინტერესებული მხარეებისათვის.

ტურიზმის მდგრადობის ფუნდამენტური ასპექტების გარდა რომელიმე ქვეყანამ შეიძლება მიმართოს განსაკუთრებულ დებულებებს ტურიზმის გარკვეული ფორმების ან კერძო გარემოებების გამო. ეს შეიძლება ეხებოდეს:

- განსაკუთრებით მგრძნობიარე გარემოს (მაგ., დაცული ტერიტორიები, ან კონკრეტული ტიპის ეკოსისტემები, როგორიცაა მარჯნის რიფები).
- განსაკუთრებით დაუცველი თემებს (მაგ., ზოგიერთი მკვიდრი თემი).
- განსაკუთრებული სახის საქმიანობას. ეს შეიძლება იყოს გარკვეული სპორტული აქტივობა, როგორიცაა დაივინგი, რომელიც შეიძლება პოტენციურად საშიში იყოს მონაწილეების და / ან გარემოს მიმართ.

რეგულირება შეიძლება საჭირო გახდეს ზოგიერთი საქმიანობის რაოდენობისა და სიხშირის გაკონტროლებისათვის, რომელთა სივრცესა და დროში კონცენტრაციას მაღალი ზეგავლენა აქვს საზოგადოებაზე. მაგალითად, საკრუიზო გემის ჩამოსვლა.

დებულება შეიძლება მოიცავდეს მრავალ საკითხს, მაგრამ, როგორც წესი, ეხება:

- კონკრეტულ ადგილების ხელმისაწვდომობას.
- ტურიზმის გამოყენების სიხშირესა და ხანგრძლივობას.
- ოპერატორების კვალიფიკაციას.
- აღჭურვილობისა და მოწყობილობების უსაფრთხოების სტანდარტებს.

ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე შესაძლებელია ასეთი სიტუაციები გაკონტროლდეს ნებაყოფლობითი კოდექსების ან სახელმძღვანელოების მეშვეობით.

- ტურიზმის საწარმოების ლიცენზირება შეიძლება გამოყენებულ იქნას:
- ძირითადი კანონმდებლობის შესაბამისად ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დასაქმება და გარემოს დაცვა.
- სხვა უფრო კონკრეტული წესების შესაბამისად, რომელიც ზემოთ იქნა განხილული.
- ოპერატორების რაოდენობის გაკონტროლებისათვის ნებისმიერ ერთ ადგილზე.

ლიცენზირება უკვე გამოიყენება მსოფლიოს ბევრ კუთხეში ისეთი საქმიანობის გაკონტროლებისა და სტანდარტების შესრულებისათვის, როგორიცაა საცხოვრებლით უზრუნველყოფა, გიდობა და არაფორმალური გარევაჭრობა. მდგრადობის რამდენიმე მარტივი მოთხოვნა შეიძლება დაემატოს ლიცენზირების პირობებს, მაგრამ გარკვეულ დონეზე ეს შეიძლება უკეთ იქნეს მიღწეული ნებაყოფლობით.*[www.istudent.ge]*

მდგრადობის გაუმჯობესებისათვის კანონმდებლობის და წესების გამოყენების ძირითადი პრობლემაა მათი აღსრულების სირთულე და შეუსაბამობის დაძლევა. ეს ფუნდამენტური საკითხია, როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნებისათვის. მეთოდები, რომლებსაც ის შეიძლება მიმართავდეს, მოიცავს:

- აკავშირებს რეგულირებას ლიცენზირებასთან და ლიცენზია გაიცემა განმასხვავებელი ნიშნის სახით, რომ ტურისტებმა შეამჩნიონ იგი.

- ინსპექტირების სქემების დახვეწა, ისე რომ ერთ ინსპექტორს შეეძლოს შეამოწმოს სხვადასხვა საკანონმდებლო მოთხოვნა.
- ოპერატორებისათვის რეგულირების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.*[www.istudent.ge]*

2. ეკონომიკური საშუალებები (გადასახადები; ფინანსური სტიმულები და ხელშეკრულებები)

მდგრადობის გაძლიერებისათვის გამოყენებული ერთმანეთთან დაკავშირებული საშუალებებიდან მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური საშუალებები/ინსტრუმენტები: გადასახადები და მოსაკრებლები, აგრეთვე, ფინანსური სტიმულები და ხელშეკრულებები.

ეს ღონისძიებები მუშაობენ ისეთი ფაქტორების მეშვეობით, რომლებიც უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ ძლიერ ზეგავლენას ახდენენ საწარმოებისა და მომხმარებლების არჩევანსა და გადაწყვეტილებებზე. ეს ფაქტორებია: ღირებულება, ფასი და შემოსავალი. მათი გამოყენება შეიძლება მოქნილად, ხოლო რეგულირება ადვილად. თუმცა, ისინი არაპირდაპირი ინსტრუმენტებია და ამიტომ ძნელია დარწმუნებულები ვიყოთ, რომ ეფექტი ზუსტად ისეთი იქნება, როგორსაც მიზნად ისახავდა.

ტურიზმის მდგრადობისათვის გადასახადების და მოსაკრებლების დაკისრებას შეიძლება ორი მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდეს:

- იცვლება მომხმარებლებისა და საწარმოების ქცევა, რადგან გადასახადები გავლენას ახდენენ ფასებზე, ხარჯებსა და შემოსავალზე. გადასახადები და მოსაკრებლები შეიძლება დადგინდეს ისეთი არამდგრადი საქმიანობის დასასჯელად, როგორიცაა დაბინძურება და შეცვალოს მოთხოვნის სტრუქტურა.
- მომხმარებლებისა და საწარმოებისაგან მიღებული შემოსავალის გაზრდა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ზემოქმედების შესამცირებლად და კონსერვაციის ან სხვა მდგრადი პროექტების მხარდასაჭერად.

ამისათვის, გადასახადებიდან მიღებული თანხის გამოყენება უნდა შეიზღუდოს.

ეს ეფექტი ურთიერთდაკავშირებულია და ამიტომ ერთად განიხილება. ხშირად ერთ ღონისძიებას შეიძლება ერთდროულად ორივე ეფექტი ჰქონდეს. შეიძლება საჭირო იყოს ბალანსირება მათ შორის.

მთავრობებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს ღონისძიებები:

- დააწესონ გადასახადები რესურსების ან მომსახურების გამოყენებაზე, რომლებსაც აკონტროლებენ, როგორიცაა კომუნალური და კეთილმოწყობის მომსახურება.
- შემოიღონ საერთო ან უფრო კონკრეტული გადასახადები ისეთ საქმიანობაზე, რომელიც გავლენას ახდენს ტურისტული საწარმოების ოპერირებაზე და ტურისტების ქცევაზე.*[www.istudent.ge]*

კონკრეტულმა გადასახადმა ან მოსაკრებელმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საწარმოების ან ტურისტების ან ორივე მხარის ქცევაზე. ეს შეიძლება ნაწილობრივ დამოკიდებულია საწარმოების რეაგირებაზე, შეუძლიათ თუ არა მათ უმტკივნეულოდ გადაიხადონ გადასახადები ან გადაიტანონ მომხმარებელზე ფასის მომატების მეშვეობით.

ბიზნესის ზოგადი გადასახადები. მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადასახადებით დაბეგვრამ არ გამოიწვიოს ბიზნესის დისკრიმინაცია მომსახურების სფეროში. მათ, ასევე, უნდა გაითვალისწინონ თუ საგადასახადო პოლიტიკამ როგორი გავლენა შეიძლება მოახდინოს მთელ რიგ ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე სექტორში, როგორიცაა სამუშაო ადგილების სეზონურობაზე და მიკრო საწარმოების და თანამშრომლების სხვადასხვა საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობებზე ზეგავლენა.

ტურიზმის ზოგადი გადასახადები. მრავალ ქვეყნაში მოქმედებს თითოეულ მნახველზე გადახდილი ტურიზმის გადასახადი, ხშირად ღამისთევის, ე.წ. „საწოლის გადასახადის“ ფორმით. ჩვეულებრივ, მას იხდიან ტურისტული საწარმოები. იგი არ განიხილება, როგორც სტუმართა რაოდენობაზე ზეგავლენის

მომხდენი, არამედ როგორც შემოსავლების მომატების საშუალება. მნიშვნელოვანი თანხები შეიძლება მოძიებული იქნეს ამ გზით, მაგრამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მოთხოვნასა და საწარმოს მომგებიანობაზე. მდგრადობის მთავარი საკითხია გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან მიღებული თანხა რამდენად გამოიყენება ადგილობრივად ტურისტული მიმართულებების მართვის, გარემოს კონსერვაციისა და სოციალური მიზნების მხარდასაჭერად.*[www.istudent.ge]*

გადასახადები და მოსაკრებლები რესურსების გამოყენებასა და გადამუშავებაზე - გადასახადები და მოსაკრებლები შეიძლება გამოყენებულ იქნას ტურიზმის ინდუსტრიისა და ტურისტების მიერ რესურსების გამოყენებაზე ზეგავლენის მოსახდენად. მაგალითად:

- ჩამდინარე წყლების მოსაკრებლებით წაახალისოს ემისიის შემცირება.
- ნარჩენების გადასახადებით ხელი შეუწყოს მათ შემცირებასა და გადამუშავებას.
- ენერგიის მოხმარებისა და შეფუთვის გადასახადი, როდესაც ის გარემოზე ზემოქმედებს წარმოების, მოხმარების ან განკარგვის დროს (მაგალითად, ნახშირბადის გადასახადი გარკვეული საწვავის გამოყენებაზე).
- მოხმარების მოსაკრებლები ძვირფასი რესურსების, მათ შორის წყლით, სარგებლობისათვის.*[www.istudent.ge]*

უმეტეს ქვეყნებში ამ ტიპის გადასახადები და მოსაკრებლები გამოიყენება ძირითადად ყველა ბიზნეს-საქმიანობაზე გავლენის მოსახდენად. ნაკლებად სავარაუდოა ტურისტული ინდუსტრიის გამოყოფა. თუმცა, ანგარიში უნდა გაეწიოს ქცევის ცვლილებებს, რომელიც გამოწვეულია ამ ღონისძიებების ზემოქმედებით ინდუსტრიაზე, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც ტურიზმს ტრადიციულად წვლილი შეაქვს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედებაში.

მოსაკრებლები კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე. მოსაკრებლები საზოგადო სარგებლობის კეთილმოწყობის გამოყენებისათვის შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იყოს ტურიზმის სფეროში. მიუხედავდ

იმისა, რომ მნახველები აცნობიერებენ პირდაპირ სარგებელს, მაინც, ხშირად არსებობს პატარა უარყოფითი რეაქცია ამ მოსაკრებლებზე. მაგალითია ეროვნულ პარკში შესვლის ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მიდამოებში დაშვების საფასური. მოსაკრებლები შეიძლება გამოყენებული იყოს ვიზიტორთა რაოდენობისა და გარემოზე ზემოქმედების კონტროლის მართვის მიზნით. სოციალური სამართლიანობა ნიშნავს, რომ გამოყენებული უნდა იყოს დიფერენცირებული მოსაკრებლები, რომლებიც ასახავენ გადახდის უნარს და თავიდან აიცილებენ ეკონომიკურ დისკრიმინაციას.

მოსაკრებლების დაწესება ასევე შეიძლება ინფრასტრუქტურით სარგებლობისათვის. გავრცელებული მაგალითია მოსაკრებლები ავტოსადგომის გამოყენებაზე, რომელიც მართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ასევე ეხმარება მანქანების გამოყენებისა და შესაბამისად, დაბინძურების შეზღუდვას.

ფინანსური სტიმულები და ხელშეკრულებები/შეთანხმებები - ეკონომიკური ინსტრუმენტებია, რომლებიც გავლენას ახდენენ საწარმოების ქცევაზე მათთვის კონკრეტული ფინანსური მხარდაჭერით ან კომერციული შესაძლებლობების შეთავაზების პირობით, თუ ისინი მოქმედებენ გარკვეული წესის მიხედვით.

მთავრობის მოქმედება შეიძლება მოიცავდეს:

- ფინანსურ მხარდაჭერასა და შესაძლებლობებს.
- განვითარების სააგენტოებზე ზემოქმედებას და მათთან მუშაობას პრიორიტეტების და პროგრამების შეთანხმების მეშვეობით.
- ფინანსების კომერციული წყაროების გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკასა და ქმედებებზე ზეგავლენას.

დადებითი ფინანსური წახალისება - შეიძლება გამოყენებული იქნას ფინანსური დახმარების სხვადასხვა მიმართულებით. ისინი შეიძლება მიმართული იქნეს უკვე არსებული ტურისტული საწარმოების ან ახალი პროექტებისაკენ. სადაც დადებითი სუბსიდია გამოიყენება უნდა გათვალისწინებული იყოს ეკონომიკური სტაბილურობის პრინციპები, რომ დახმარება იყოს იმ ტიპისა და ოდენობის, რომ

ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭეროს საწარმოს განვითარებას და თავიდან აიცილოს დამოკიდებულება.

ზეგავლენა სხვა ფინანსური შეთანხმებების მეშვეობით - მთავრობებს, ასევე, აქვთ შესაძლებლობა, რომ ზეგავლენა მოახდინონ საწარმოების ქცევაზე სხვა სახის ფინანსური შეთანხმებების მეშვეობით. ეს შეიძლება იყოს საწარმოსათვის გარკვეული ფორმით ქონების ან სავაჭრო უფლება გადაცემა. მაგალითად:

- მთავრობის მიერ საწარმოსათვის რაიმე უფლების მინიჭება, მაგალითად, ეროვნულ პარკებში მომსახურებაზე.
- წყლის მოპოვებაზე სავაჭრო ლიცენზიის შემოღება, უღარიბესი თემების ძირითადი უფლებების დასაცავად.
- საჯარო და კერძო პარტნიორობის განვითარება ისეთი საწარმოებისათვის, როგორებიცაა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი კეთილმოწყობის ან საინფორმაციო მომსახურება.
- სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა, მაგალითად, განთავსების საშუალებების გამოყენება სახელისუფლებო ღონისძიებებისა და შეხვედრებისათვის.*[www.istudent.ge]*

თავი 3.საქართველოში ტურიზმის რეგულირების არსებული მდგომარეობა,პრობლემები და რეკომენდაციები

3.1 ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების არსებული მდგომარეობა და ანალიზი

კვლევის მიზანი იყო აღნიშნული ბაზრის შესწავლა, გაგვეგო თუ რა მნიშვნელობა აქვს გიდს ტურისტულ ბაზარზე, ტურიზმის სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასება.ინფრასტრუქტურის განვითარების ეტაპების

შესწავლა.რა სახის ტურისტულ მომსახურებას სთავაზობენ ტურისტული სააგენტოები ტურისტებს: გასვლით თუ შიდა ტურიზმს, რა რომელზე არის უფრო დიდი მოთხოვნა.კვლევის მიზანს წარმოადგენდა ასევე გაგვეგო, თუ რომელი იყო 3 ყველაზე მოთხოვნადი კურორტი საქართველოში და ყველაზე მეტად რომელ ქვეყანაშია განვითარებული ინფრასტრუქტურა.ძირითადად რომელი ქვეყნიდან სტუმრობენ საქართველოს ყველაზე ხშირად და რომელ ქვეყანაში მიემგზავრებიან ქართველები.

რა ტიპის ტურიზმია ყველაზე მოთხოვნადი. რომელია ყველაზე ძვირადღირებული ტური.

როგორია შემომსვლელი და გამსვლელი ტურისტული ბაზრის ტენდენცია ბოლო 3 წლის განმავლობაში გაიზარდა თუ შემცირდა და დაახლოებით რამდენი პროცენტით.

ასევე გვაინტერესებდა თუ როგორ შეაფასებდნენ ტურისტული სააგენტოები თავიანთ თავს კონკურენტებთან მიმართებაში.

იყენებენ თუ არა შეღავათებს და რა შემთხვევაში. თანამშრომლობენ თუ არა ბანკებთან.

რეკლამის რა ფორმებს იყენებენ და ასევე გამგზავრებისას ტურისტისათვის ყველაზე მეტად რა არის მნიშვნელოვანი.

ამ კვლევის შედეგად შევძელით ყველა ჩვენს კითხვაზე პასუხის მიღება, რაც შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ანალიზში.

21-ე საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში ტურიზმი მდგრადი განვითარების დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში. იმისათვის, რომ ტურიზმმა ეკონომიკური მოგება მოუტანოს ქალაქს, მისი განვითარება უნდა ატარებდეს მდგრად ხასიათს და ამავე დროს თავისი ბუნებით უნდა იყოს დამზოგავი. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებული

მნიშვნელობა აქვს განსახლების სისტემის, დასახლებათა ტრადიციულ არქიტექტურას და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას.

ტურიზმის განვითარების დაგეგმვის თვალთახედვით პოტენციური შესაძლებლობების შეფასების დროს აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვას - რა საჭირო კომპონენტები უნდა არსებობდეს ტურიზმის განვითარებისათვის? ეს კომპონენტებია:

- ღირშესანიშნაობები და თავისუფალი დროის გატარების ფორმები - სანახავი ადგილები და ის, რითაც შეიძლება ტურისტი გაერთოს ადგილზე ყოფნის დროს;
- მიღებისა და მომსახურების ინფრასტრუქტურა - დაბინავებისა და კვების ადგილები
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მომსახურება - საბაზო ადგილამდე ჩასვლისა და შიდა ტერიტორიაზე გადაადგილების საშუალება;
- ადგილობრივი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა - წყალმომარაგება, ელექტროგაყვანილობა, კომუნიკაცია, კანალიზაცია და მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა;
- მოგზაურობების ორგანიზება - ტუროპერატორები, ტურაგენტები და გიდები;

ტურისტული პროდუქციის ბაზარზე გატანა და ტურისტული ინფორმაციის სამსახურის არსებობა - ინფორმაცია ტურისტებისათვის იმაზე, თუ რა შეუძლიათ ნახონ და აკეთონ მათ ადგილზე ყოფნის დროს.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებიდან დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. საქართველოს ტურისტულ შესაძლებლობებს განსაზღვრავს: 1. შავი ზღვის სანაპირო ზოლი, რომლის სიგრძე 318 კმ.-ია. იგი წარმოადგენს მასობრივი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. 2. დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილები. დიდი კავკასიონი გადაჭიმულია შავიდან კასპიის ზღვამდე და სიგრძით 1500კმ-ს აღწევს. საქართველოს მთები უაღრესად ხელსაყრელია სამთო-სათხილამურო

ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის. 3. კურორტები: ქვეყანაში 102 კურორტი და კარგი საკურორტო პერსპექტივების მქონე 182 საკურორტო ადგილია.

საქართველო არის ერთ-ერთი უძველესი ტურისტული ქვეყანა, სადაც ტურიზმს 3500 წლის ისტორია აქვს. საქართველო აღიარებულია ღვინის სამშობლოდ. ქვეყნის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ვაზის დასამუშავებელი იარაღი, რომელიც დამზადებულია ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში. მსოფლიოში ასეთი სიძველის ნივთი არსად არ არის აღმოჩენილი. 2 ათასი ყურძნის ჯიშიდან 500 ქართულია.

ტურიზმი ქვეყნის დედაქალაქის განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია. მისი განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის დროს, აუცილებელი იქნება გაანალიზდეს შემდეგი საკითხებიც:

- არსებობს თუ არა თბილისში ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსები;
- არსებობს თუ არა შესაბამისი ტურისტული ბაზარი, რომელზეც შეიძლება გასვლა;
- ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად ესაჭიროება თუ არა თბილისს ტურიზმის განვითარება;
- არის თუ არა საჭირო შრომითი რესურსები ტურიზმის განვითარებისათვის,დამატებითი შრომითი რესურსების შემოყვანის გარეშე;
- გამართლებულია თუ არა დანახარჯები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;
- შესაძლებელია თუ არა კონკურენტების გამოჩენა არსებული ან შესაძლო ტურისტული პროექტებიდან მეზობელ რეგიონებში.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ტურიზმისა და მოგზაურობის საკონსულოს მონაცემებით საერთაშორისო ტურიზმის ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში შემდეგნაირად გამოიყურება: -ტურიზმზე მოდის მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 10%; კერძო მომსახურების 10,9%; მსოფლიო ინვესტიციების 11,8%;

ტურისტების მიერ უცხო ქვეყანაში მოგზაურობისას იხარჯება 600 მილიარდზე მეტი აშშ დოლარი;

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობები, ქვეყნის ბუნების მრავალფეროვნება, ისტორიული და კულტურული ძეგლები მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისათვის. რისი გამოხატულებაცაა ის, რომ 1988 წლის მონაცემებით ქვეყანაში ჩამოდიოდა 4 მლნ-ზე მეტი ტურისტი და დამსვენებელი. ცნობილი მოვლენების გამო საქართველოში 1990 წლიდან დაიწყო ტურისტული ინდუსტრიის ვარდნის პროცესი. 1994-97 წლებში, როგორც მეურნეობის სხვა დარგებში, ისე ტურიზმისა და კურორტების სექტორში განხორციელდა პრივატიზაციის პროცესი. ამ პერიოდში ინვესტიციების ოდენობა შედარებით მცირე მოცულობით ხასიათდებოდა და მოხმარდა სახელმწიფოსაგან ტურისტული და საკურორტო ობიექტების გამოსყიდვას. პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში 1998 წლიდან იწყება ტურისტული ინდუსტრიის შესამჩნევად მზარდი ტემპებით ფუნქციონირება. პირველი სტატისტიკური მონაცემები ჩნდება 1995 წელს, როცა დაფიქსირდა წლის განმავლობაში ქვეყანაში შემოსული 85 000 ვიზიტორი.

მსოფლიო ბაზარზე საქართველო შედარებით ახალი ობიექტია და ჯერჯერობით არ არის სათანადოდ დამკვიდრებული. ბაზრის პარამეტრები (მოთხოვნის ზრდა, მოთხოვნის ტიპები, ობიექტები არ არის ჯერ სტაბილური და ზუსტად გათვლილი),ამის გამო ბიზნესის პროგნოზი აშკარა რისკთან არის დაკავშირებული. ყოველივე ეს ხელს უწყობს ეკონომიკის აღნიშნულ სეგმენტში არარეგისტრირებული ფულადი საშულებების განთავსების სტიმულირებას.

ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარება, შეიძლება ითქვას, ორი მხარის პრეროგატივაა. პირველი, ესაა სახელმწიფო და მეორე მეწარმე. სწორედ ამ ორი მხარის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მიღწევა. მათ შორის მეტი ვალდებულება აკისრია პირველ მხარეს, რათა უზრუნველყოს ქვეყანაში ნორმალური სამეწარმეო საქმიანობის გარემოს შექმნა.

ტურისტულ ბიზნესში არაკვალიფიციური კადრების არსებობაც ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება საქართველოში. შეიძლება ითქვას, ეს პრობლემა საბჭოური მმართველობისა და პრინციპების ბრალია. დღეს ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში გახსნილია ტურიზმის სასწავლო სპეციალობები, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა აქაც ბევრი პრობლემაა. დასახვეწია სწავლების პროცესი, საჭიროა ლიტერატურა, კონტაქტები საზღვარგარეთის ანალოგიურ სასწავლებლებთან, საჭიროა სტუდენტთა პრაქტიკული მუშაობა.

მთელს მსოფლიოში განუწყვეტლივ მიმდინარეობს ის ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც მოიაზრებს სხვადასხვა სახელმწიფოს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირსა თუ თანამშრომლობას. ინტეგრაციის მთავარ პირობას წარმოადგენს განვითარების დონის ამაღლება ყველა სფეროში, მათ შორის ტურიზმშიც, რომელიც ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგადაა აღიარებული. ტურიზმი ხომ სწორედ ის სფეროა, სადაც ქვეყნებს შორის წარმატებული ურთიერთობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა უზრუნველყოფილი ცალკეული პირების, ტურისტების უსაფრთხოება.

3.2 ტურისტულ საწარმოთა კვლევა, ანალიზი და რეკომენდაციები

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის არ არსებობს სასტუმროების კლასიფიკაციის ერთიანი სავალდებულო საერთაშორისო სისტემა. მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებში თუ ქვეყნებში შეფასების კრიტერიუმები განსხვავდება.

მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან გამოვყოთ კლასიფიკაციის ორი ძირითადი ტიპი: პირველი, როდესაც სასტუმროს შეფასება ხდება კერძო ორგანიზაციის მიერ და მეორე, როდესაც ვარსკვლავების რაოდენობა დამოკიდებულია ქვეყანაში ან რეგიონში მოქმედ სამართლებრივ ნორმაზე ან სავალდებულო საერთაშორისო სტანდარტზე. თუმცა კლასიფიკაციის ამ ორი ვარიანტის არარსებობისას არცთუ

იშვიათია შეფასების “მესამე ტიპიც”, როდესაც სასტუმროს მეპატრონე (კომპანია) საკუთარი შეხედულების მიხედვით წყვეტს საინფორმაციო დაფაზე დატანილი ვარსკვლავების რაოდენობას. ამ შემთხვევაში ვარსკვლავების რაოდენობას ზურგს არ უმაგრებს არც შემფასებელი ორგანიზაციის რეპუტაცია და არც კანონმდებლობით დაცული სავალდებულო სტანდარტი.

საქართველოში წინა წლებში, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, კომპანია Global Star-ს აღებული ჰქონდა პასუხისმგებლობა, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დაერეგულირებინა ვარსკვლავების მინიჭებასთან და სერვისის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული პროცედურები. შეფასების მოპოვება სასტუმროებისთვის ნებაყოფლობითი იყო, მაგრამ წახალისებული იყო სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციებითა და Global Star-ის მიერ გამართულ ტრენინგებში მონაწილეობით. დღეს კომპანია აღარ ითავსებს მემორანდუმში დაფიქსირებულ ფუნქციას. შესაბამისად, ხარისხის შეფასების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა ქვეყანაში ამ ეტაპზე აღარ მიმდინარეობს.

ტურიზმში მომსახურების დონის ეფექტურ მართვასა და შენარჩუნებას უზრუნველყოფს ეროვნული სტანდარტის კრიტერიუმები, რაც სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციის დაწესებას მოითხოვს;

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული აქტივობები შედარებით გამოსწორებულია, გათვლილია და განხორციელებულია, შიდა სტრუქტურა კი და საკანონმდებლო საკითხები ჯერ კიდევ დახვეწას ითხოვს. დღევანდელი ტურისტული სექტორის ისეთი მტკივნეული საკითხებია: კანონი ტურიზმის შესახებ, ლიცენზირებული ტურისტული კომპანიებისა და ტუროპერატორების არარსებობა, ქვეყანაში არასერტიფიცირებული გიდების მუშაობა, სასტუმროებისთვის ვარსკლავების მინიჭების გაურკვეველი სისტემა, იურიდიული პირების გაუმართლებელად ადვილად გაფორმების შესაძლებლობა

და უამრავი უცხოელის (არა მოქალაქე) არალეგალური საქმიანობა ტურისტულ სექტორში.

სწორედ ამ პრობლემური საკითხის დსადგენად ჩავატარეთ კვლევა ქ. თბილისის 15 ტურისტულ და ეკონომკლასის სასტუმროებში 13 ტურისტულ კომპანიში და 17 გიდთან.

დანართი 1.

N	გიდები	სასტუმროები	ტურისტული კომპანიები
1	ინგა პაიჭაძე	Hotel Dormitory Hualing Tbilisi	ფრი ტრეველი
2	ანა ხაბაზი	Hotel Tiflis Bakhtrioni	ჯორჯიან ჰოლიდეის
3	დიმიტრი ხმალაძე	Hotel Calista	პრაიმ თრეველი
4	სოფიკო შენგელია	Hotel Orbel house	თრეველ ვორლდ
5	გიორგი ხარჩილავა	Hotel Nirvana	ვიზა ჯორჯია
6	ვაჟა კეკელიძე	Guest House Pyramida	აი ემ ჯორჯია
7	ნინო ლეკიშვილი	Hotel Armazi Palace	ოლდ თრეველი

8	თამარ ლორთქიფანიძე	Hotel DKD-Bridge	ფლაი მაქსი
9	ზაზა კვარაცხელია	Hotel Voyager	ინტერმაისტური
10	ჯონი კაპანაძე	Hotel Tbilisia	ლუქს თრეველი
11	მაია ჩოგოვაძე	Hotel Vedzisi	ფეშენ თრეველი
12	დავით ჩიტაია	Hotel Idilia	სქაი თრეველი
13	შოთა კაპანაძე	Green Hotel Tbilisi	ჯორჯიან თრეველ გრუპი
14	იამზე ტურაძე	Vere Palace hotel	
15	გიგი ძიძიშვილი	Old Meidan	
16	ლელა გიორგაძე		
17	გიორგი გვიშიანი		
18			
19			
20			

სასტუმროები:

1.როგორ ფიქრობთ სასტუმროთა კლასიფიკაციისთვის არის თუ არა საავალდებულო ეროვნული სტანდარტების დაწესება?

დანართი 2.



2.რას უზრუნველყოფს სასტუმროთა ეროვნული სტანდარტი?

- ყველა ეკონომ და ტურისტულ სასტუმროს ერთიან პირობებში ფუნქციონირებას.
- მომსახურების ხარისხის ამაღლებას ,მოტივაციის გაზრდას.
- მომხმარებელთა მაღალი ინფორმაციულობა,ფასისა და ხარისხის შესაბამისი უზრუნველყოფა.

ტურისტული კომპანიები:

1.არის თუ არა საჭირო ტურისტულ კომპანიათა ლიცენზირების რეგულაცია?

დანართი 3.



გიდები:

1.როგორ თვიქრობთ არის თუ არა საჭირო სერტიფიცირება ,იმისთვის,რომ იმუშაოთ გიდად?დანართი 4.



2.რომელი ორგანიზაცია უნდა გასცემდეს სერთიფიკატს?

დანართი 5.



ტურისტულ საწარმოებში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოვლენილ პრობლემათა დაძლევის რეკომენდაციები:

ტურიზმის სააღრიცხვო სისტემის არარსებობა

დღესდღეობით საქართველოში ვერ ხერხდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა. საჭირო ინფრასტრუქტურისა და სააღრიცხვო სისტემის არარსებობის გამო არ ხდება საკურორტო ადგილებში საკუთარი სახლების გამქირავებელთა შემოსავლების აღრიცხვა. ყოველივე აღნიშნული კი განაპიროებებს იმას, რომ რეალურად ქვეყნის ბიუჯეტში ტურიზმიდან შესული თანხები ძალიან მწირია.

მოცემული პრობლემა შესაძლებელია მოგვარდეს საქართველოში მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული ტურიზმის სატელიტური აღრიცხვის სისტემის შესწავლით, საქართველოსთვის ადაპტაციითა და შემდგომ მისი ქვეყანაში დანერგვით.

უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელი დონე ქვეყანაში

ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს საქართველოში უსაფრთხოების

არადამკმაყოფილებელი დონე. აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიაზე არსებული დაძაბული სიტუაცია ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ტურისტებზე, რის გამოც მათ შეიძლება უარი თქვან საქართველოში ჩამოსვლასა და დასვენებაზე.

ამას თან ერთვის ქვეყანაში არსებული კრიმინოგენული სიტუაცია, რადგან ხშირია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ტურისტებზე თავდასხმისა შემთხვევები.

არადამაკმაყოფილებელი უსაფრთხოების დონე კურორტებზე

ეს გამოწვეულია რეგიონებში სამაშველო სამსახურის არაქმედუნარიანობითა და სიმცირით. გარდა ამისა საკურორტო ადგილებში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში, პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების მიღება.

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილი იქნება მომზადდეს:

- კვალიფიციურ მაშველთა კორპუსი, როგორც საზღვაო კურორტების, ასევე მაღალმთიანი რეგიონებისათვის;
- შეიქმნას პირველადი დახმარების სამედიცინო მომსახურების პუნქტების ქსელი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

მძიმე სანიტრულ-ჰიგიენური მდგომარეობა კურორტებზე

ამ მხრივ მეტად სავალალო მდგომარეობაა სანაპირო ზოლში, რადგან თითქმის არ ხდება სანაპიროს დასუფთავება და საჭირო სანიტარული ნორმების დაცვა. ასევე ხშირია ზღვის დაბინძურება სხვადასხვა ჩამდინარე ნარჩენებით, გემების ნარეცხი წყლებითა თუ ჩაღვრილი ნავთობით. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის დამსვენებელთა ჯანმრთელობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ყველა ადამიანის ცნობიერებაში გარემოს დაცვის აუცილებლობისადმი სერიოზული მიდგომა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებელია:

- გაუმჯობესდეს რეგიონებისა და ქალაქების შესაბამისი კეთილმოწყობის სამსახურების საქმიანობა. მუდმივად მოხდეს საკურორტო ადგილების დასუფთავება და სანიტარული ნორმების დაცვა;

- შესაძლებლია PR კამპანიის განხორციელება ადამიანების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მოშლილი საგზაო და სატრანსპორტო სისტემა

საქართველოს უმეტეს მაღალმთიან რეგიონში მთლიანად მოშლილია საგზაო სისტემა, ამ მხრივ საკმაოდ ცუდი მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთში. საგზაო სისტემა იმდენად გაუმართავია, რომ ვერ ხერხდება ტრანსპორტირება.

ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არ არსებობს შიდა ავიარეისები, რაც საკმაოდ გააადვილებდა გადაადგილებას. საქართველოს მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი კავშირები აქვს რუსეთსა და ევროპასთან, მაგრამ სამხრეთ კავკასიის რეგიონში და ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი რეისების რაოდენობა ძალიან მცირეა. ეს კი იწვევს იმას, რომ ზოგიერთი პოტენციური ბაზრის მოცვა გართულებულია და ძნელდება კომბინირებული რეგიონალური ტურების მოწყობა.

ჩვენი ქვეყანა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და ორი ნავსადგურიც გაგვაჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა დღესდღეობით საზღვაო ტრანსპორტით ტურისტთა გადაყვანა თითქმის არ ხდება, რითაც ისევ და ისევ პოტენციური შემოსავლები იკარგება ტრანსპორტის სფეროდან.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი:

- აუცილებელია გაუმჯობესდეს საგზაო სისტემა მაღალმთიან და შედარებით ძნელად მისადგომ ადგილებში, რადგან ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პოტენციალი სწორედ მაღალმთიან რეგიონებშია თავმოყრილი;
- გზების გამართვასთან ერთად საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით აუცილებელია მათი კეთილმოწყობა, განათება, ავტოგასამართი და კავშირგაბმულობის პუნქტების განთავსება;
- ტრანსპორტირებისას უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესდეს სტანდარტები სატრანსპორტო საშუალებებისათვის და რეგულარულად ხდებოდეს მძღოლთა კვალიფიკაციის შემოწმება;

- მოხდეს სამარშრუტო ქსელის გაფართოება და მაღალმთიან რეგიონებში პირდაპირი მარშრუტების დანიშვნა;
- მიზანშეწონილი იქნება შიდასაქვეყნო, რეგიონთაშორისი ავიარეისების დანიშვნა;
- აღდგეს საზღვაო რეისები ვიზიტორების ტრანსპორტირებისა და გასეირნებისათვის.

სასტუმროთა ქსელის სიმწირე და ფასისა და ხარისხის შეუსაბამობა

საქართველოს კურორტები ვიზოტორებს ვერ უზრუნველყოფენ თავშესაფრით სასტუმროში, იმდენად რამდენადაც რეგიონებში მათი რაოდენობა არასაკმარისია. ამავე დროს არსებული კერძო სასტუმროების სერვისები საკმაოდ დაბალი ხარისხისაა, რასაც ვერ ვიტყვით მათ მიერ შემოთავაზებულ ტარიფებზე.

აღნიშნული პრობლემა შეიძლება გადაჭრილ იქნას:

- ტურიზმის სფეროში ინვესტიციების მოზიდვით და საერთაშორისო სტანდარტების სასტუმროთა ქსელის განვითარებით;
- ასევე მიზანშეწონილი იქნება სასტუმროთა ეროვნული სტანდარტის შექმნა, მომსახურების გამრავალფეროვნება.
- **ტურისტულ კომპანიათა ლიცენზირება** -ტურისტული კომპანიები, რომელთაც ბაზარზე საქმიანობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვთ, პირდაპირ მიუთითებენ, რომ ტურიზმის სექტორი სრულიად უმართავი გახდა, რადგან დღეს ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს, ყოველგვარი გამოცდილების და პასუხისმგებლობის გარეშე შეუძლია გახსნას ტურისტული სააგენტო. შედეგად, მომხმარებელთა უმრავლესობა ვერ იღებს იმ სერვისს, რასაც ყიდულობს. ტურისტული ბიზნესი გამოსავალს კომპანიების ლიცენზირებაში ხედავს, რადგან თვლიან, რომ ძალიან ბევრი ტურისტული სააგენტოს საქმიანობის პრინციპები რეგულირებული არ არის, რითაც მათი იმიჯი სერიოზულად ზიანდება.იდების
- **გიდების სერთიფიცირება**-გამოკითხვისას გიდები აცხადებდნენ, რომ ხშირ შემთხვევაში გიდის და მძღოლის ფუნქციას ერთი ადამიანი ასრულებს,

რომელიც ტურისტს დაბალ ფასს და დაბალ ხარისხს სთავაზობს და ამით კვალიფიციურ გიდებს კონკურენციას უწევს. ამასთან პრობლემაა უცხოელი გიდებიც, რომლებიც საქართველოში ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე ემსახურებიან ტურისტებს,შესაბანისად გამოკიტხულტა უნრავლესობამ დადებიტი პასუხი დააფიქსირა სერტიფიცირების რეგულაციის შემოღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ტურიზმის პოტენციალის შესახებ სრულყოფილი საინფორმაციო ბაზის არარსებობა

ქვეყანაში არ არსებობს სრული საინფომაციო ბაზა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ, სადაც აღწერილი იქნება საქრათველოს რეგიონებში არსებული კურორტები, თავისი ღირსშესანიშნაობებით. ასევე არ არსებობს სასტუმროთა და სააგენტოთა ბაზა, რომელიც შეიცავდა მათი მომსახურების სახეებს და საქმიანობის სრულ აღწერას. ყოველივე აღნიშნულის არსებობა სასიკეთოდ წაადგებოდა ტურიზმს, რადგან სრული საინფორმაციო ბაზა დახმარებას გაუწევდა, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ტურისტებს. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- შეიქმნას სასტუმროებისა და სააგენტოების სრულყოფილი საინფორმაციო ელექტრონული ბაზა, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოს ნებისმიერ მცხოვრებისათვს;
- შეიქმნას საქართველოს ტურისტული პოტენციალის აღწერის ელექტრონული ბაზა, რომელიც ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის რეკლამირებისა და პოტენციურ ტურისტთა ყურადღების მიპყრობისათვის;
- საჭიროა სააგენტოების მხრიდან შიდა ტურიზმზე ორიენტირება.

ტურიზმის დარგში კომპეტენტური პერსონალის არარსებობა

ტმომავალში ტურიზმის განვითარებასთან და ტურისტული ნაკადების ზრდასთან ერთად გაიზრდება მოთხოვნა კომპეტენტურ პერსონალზე. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა

ამზადებს ტურიზმის სპეციალისტებს, მაგრამ ქვეყანაში არ გვხვდება ტურიზმზე სპეციალიზირებული სკოლა, რომელიც ორიენტირებული იქნება საშუალო და დაბალი დონის პერსონალის მომზადებაზე, რაზეც რეალურად მოთხოვნა მართლაც არსებობს.

ამ კუთხით პრობლემის მოგვარების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია:

- შეიქმნას სპეციალიზირებული სასწავლებლები ან მომზადდეს ტრეინინგკურსები, რომელიც ჩაუტარდებათ ტურიზმის სფეროში დასაქმებულ პერსონალს, რათა ისინი აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს.

დასკვნა

ნაშრომზე მუშაობამ ცხადჰყო, რომ დარგში არაერთი პრობლემური საკითხია, რაც დროულ და საფუძვლიან ყურადღებას საჭიროებს. ცალკეული მიმართულებით უფრო დეტალური და სიღრმისეული ანალიზია საჭირო, რათა უკეთ წარმოჩინდეს პრობლემების გადაჭრის გზები. თუმცა ტურიზმის მარეგულირებელი კანონმდებლობის დიდი ნაწილის ცვლილების საჭიროება საბაზისო კვლევითაც ნათლად ჩანს.აუცილებელია ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე არაერთი ნაბიჯის გადადგმა, საკანონმდებლო რეფორმის თუ სპეციალური პროექტების განხორციელების გზით, რაც იქნება კვლევაში წარმოჩენილი პრობლემების გადაჭრის მხოლოდ დასაწყისი. ტურიზმის განვითარება მხოლოდ ინფრასტრუქტურის ან ცალკეული ტურისტული მიმართულებების განვითარებით ვერ მიიღწევა. აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რომელსაც არ შეაფერხებს ისეთი პრობლემები, როგორიცაა მოძველებული კანონმდებლობა ან ეფექტური სტატისტიკის წარმოების დაბრკოლებები. აღნიშნული რეგულაციების დაწესება და რეალურად განხორციელება ქვეყანას დაეხმარება ,,საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. ,,საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს კი წარმოადგენს - ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესება (ტრანსპორტირების, განთავსების საშუალებებისა და საექსკურსიო მომსახურების.უსაფრტხოების), რათა ქვეყნის შესახებ მიზნობრივი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული აქტივობების შედეგად ჩამოყალიბებული წარმოდგენა გამართლდეს; შესაბამისად, ჩამოსულმა ტურისტებმა პოზიტიური გზავნილები გაავრცელონ საქართველოზე და განმეორებით ესტუმრონ ქვეყანას.

დანართები

დანართი 1.

N	გიდები	სასტუმროები	ტურისტული კომპანიები
1	ინგა პაიჭაძე	Hotel Dormitory Hualing Tbilisi	ფრი ტრეველი
2	ანა ხაბაზი	Hotel Tiflis Bakhtrioni	ჯორჯიან ჰოლიდეის
3	დიმიტრი ხმალაძე	Hotel Calista	პრაიმ თრეველი
4	სოფიკო შენგელია	Hotel Orbel house	თრეველ ვორლდ
5	გიორგი ხარჩილავა	Hotel Nirvana	ვიზა ჯორჯია
6	ვაჟა კეკელიძე	Guest House Pyramida	აი ემ ჯორჯია
7	ნინო ლეკიშვილი	Hotel Armazi Palace	ოლდ თრეველი
8	თამარ ლორთქიფანიძე	Hotel DKD-Bridge	ფლაი მაქსი
9	ზაზა კვარაცხელია	Hotel Voyager	ინტერმაისტური
10	ჯონი კაპანაძე	Hotel Tbilisia	ლუქს თრეველი
11	მაია ჩოგოვაძე	Hotel Vedzisi	ფეშენ თრეველი
12	დავით ჩიტაია	Hotel Idilia	სქაი თრეველი
13	შოთა კაპანაძე	Green Hotel Tbilisi	ჯორჯიან თრეველ გრუპი
14	იამზე ტურაძე	Vere Palace hotel	
15	გიგი ძიძიშვილი	Old Meidan	
16	ლელა გიორგაძე		
17	გიორგი გვიშიანი		
18			
19			
20			

დანართი 2.



დანართი 3.



დანართი 4.



დანართი 5.



გამოყენებული ლიტერატურა

1.მეტრეველი მ. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა

2.ქათამაძე დ. ქათამაძე გ. საერთაშორისო ტურიზმი

3.ცერცვაძე გ. ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება

4.ტურიზმის ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია www.gnta.ge

5. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=ekonomik&cl=CL1.3&d=HASH91d740a344d40d08e402b7.9

6. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals

7. http://tourisminstitute.ge/files/attach/tourism_regulation.pdf

8. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_6058_1.pdf

9. http://www.parliament.ge/uploads/other/22/22585.pdf

10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959

11. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&c=periodika&cl=CL1.12&d=HASH019376e25fc6dbd0751e2e45.14

12.https://blh.com.ge/%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1/

13. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.10&d=HASH473087b171f34317cbf26b.2.5.4

14. www.istudent.ge